# საქართველოს რესპუბლიკა



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴅⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 22 მარტი, 2014 წელი.

№57 (7438)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## „ივანიშვილის სტილს და კომუნიკაციის ფორმას ხალხი უკვე შეეჩვია“ 3



## ზურაბ ჟვანიას ოჯახი სააკაშვილის დაკითხვას მოითხოვს 8

## მსოფლიოს გადანაწილების ახალი ფაზა 5



## სამებიდან საყდრისისკენ „დავითიანნი“ დროშებით მიემართება 9



## „პოეზიის რაინდი“ 6

*შოთა ნიშნიანიძე – 85*



„ქალი – თეთრი თმის შარავანდედით,
ქალი – უმწარეს ზედით დევნილი...
ვაითუ, მართლა უფლის დედაა,
ხსნად და იმედად ციდ მოვლენილი?
შიშით და ელდით მიფეთქავს გული,
ჩემსავით, ალბათ, სხვებიც შიშობენ,
როგორ გავზედო და პურის ფული
როგორ ჩავუგდო ხელში ღვთისმშობელს“...

## „ყირიმის მოვლენები გლობალურ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის“ 8

## რამ გააწინმატა კამკულები 4

## წილი ნაყარია

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში მოეწყო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის-ტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა (1-2 და 15-16 აპრილი).

„ბარსელონა“ – „ატლეტიკო“,
„რეალი“ – „ბორუსია“,
„პარი სენ-ჟერმენი“ – „ჩელსი“,
„მანჩესტერი“ – „ბაიერნი“.



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

⊙ პრემიერი

# ირაკლი ღარიბაშვილმა მარნეულის მოსახლეობას ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული მიულოცა



**პრემიერმა სიტყვით გამოსვლა აზერბაიჯანულ ენაზე დაიწყო. „ნოვრუზ ბაირამნეზ მუბარეკ ოლსუნ!“**

გილოცავთ ნოვრუზ ბაირამს, ამ ლამაზ დღესასწაულს, გაზაფხულის განახლების, სიცოცხლის და სიყვარულის დღეს. მე ვუერთდები დღეს თქვენს ზეიმს, მთელი გულით ვიზიარებ თქვენს ამ სიხარულს. ჩვენ ვართ ერთი ქვეყნის შვილები. ჩვენი წინაპრები ერთად ცხოვრობდნენ, ერთად შრომობდნენ, ერთად ემსახურებოდნენ ჩვენს სამშობლოს — ჩვენს საქართველოს. ყოველთვის იზიარებდნენ ერთმანეთის ჭირს და ლხინს. ასე იყვნენ ჩვენი წინაპრები, ასე ვართ ჩვენც და მე მჯერა, რომ ასე იქნება, ასე გაგრძელდება, ჩვენი შვილები გააგრძელებენ ამ ტრადიციას, — მიმართა მოსახლეობას ღარიბაშვილმა.

მან მარნეულში შეკრებილ მოსახლეობას განსაკუთრებული ხალხი უწოდა და აღნიშნა, რომ ისინი განსაკუთრებით მშრომელი ხალხი არიან, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტით ამარაგებენ მთლიანად საქართველოს.

— მე მინდა გითხრათ, რომ ეს ჩვენთვის და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მთავრობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ და პირადად მე ძალ-ღონეს არ დავიშურებ, გავაკეთებ ყველაფერს, რომ თქვენი შრომა დავაფასო ადეკვატურად და ჯეროვნად. მე გავაკეთებ ყველაფერს იმისთვის, რომ თითოეულმა თქვენმა ოჯახმა იგრძნოს კეთილდღეობა, ის, რაც შეიქმნება ჩვენს სამშობლოში. ჩვენ გვინდა, რომ თქვენს შვილებს ჰქონდეთ სწავლისა და განვითარების პირობები. მიხარია, რომ აქაური ახალგაზრდობა ძალიან მონდომებულია იცოდეს ქართული ენა, — აღნიშნა პრემიერმა.

მან ადგილობრივებს მოუწოდა, მაქსიმალურად ჩაერთონ სახელმწიფო ენის შესწავლის პროექტებში, რადგან ქართული ენის ცოდნა მათ დაეხმარება სხვადასხვა პროფესიის დაუფლებაში, უმაღლესი განათლების მიღებაში და საბოლოოდ ისინი შეძლებენ სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მშენებლობაში.

# „მწვანე მომავალი“ დაიწყო



**პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, კომპანიის მიზანი საქართველოში გამწვანების პროცესის ხელშეწყობა და ჯანსაღი გარემოს თემის პოპულარიზაციაა.**

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული გამწვანების პროგრამის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით მილიონი ნერგი უნდა დაირგას.

კამპანიის ფარგლებში გასამწვანებელი პირველი ნაკვეთი თბილისი-მარნეულის ცენტრალურ გზატკეცილზე შეირჩა. ხეების დარგვაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მონაწილეობა ვაჟიშვილთან ერთად მიიღო.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ტყეზე ზრუნვა, გამწვანებაზე ფიქრი ყველა ადამიანის ვალია. მან ღონისძიებაზე დამსწრეთ ტყის საერთაშორისო დღე მიულოცა და გამწვანების მხრივ ქვეყანაში არსებულ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაზე ისაუბრა.

მისივე თქმით, პროგრამის ფარგლებში შემუშავდება „გამწვანების რუკა“, რაც გულისხმობს გასამწვანებელი ადგილების აღწერილობასა და დამუშავებას. სატყეო დეპარტამენტის მეშვეობით მოხდება გასამწვანებელი ტერიტორიების იდენტიფიცირება, პატრონაჟის განსახორციელებელ ნაკვეთებად დაყოფა. გათვალისწინებულია გადაშენების პირას მყოფი ჯიშების ნერგთა გამოყვანა სანერგე მეურნეობებში და შესაბამის ადგილებზე გამწვანების ზოლში მათი გამრავლება.

გამწვანების კამპანიაში სამთავრობო უწყებები, ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფების ჩაერთვებიან.

# პატრიარქი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს შეხვდა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, საპატრიარქოში დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებსა და მათ მშობლებს უმასპინძლა. შეხვედრას 25 ბავშვი და მათი ოჯახის წევრები დაესწრნენ.**

უწმინდესმა ისინი დალოცა, მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებზე დაბრძანებული ჯვრები გადასცა და ტკბილეულით დაასაჩუქრა.

— ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ასეთი დიდი სტუმრიანობაა ჩვენთან. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, — ბრძანა უწმინდესმა.

ამასთან, პატრიარქი დაინტერესდა, იციან თუ არა პატარებმა ლექსები, იციან თუ არა გაბრაზება, აკეთებენ თუ არა სახლში რაიმეს. მაგალითად, ალაგებენ თუ არა ოთახს. პატარებმა უწმინდესს ლექსები წაუკითხეს და იგალობეს. ერთ-ერთმა ბავშვმა პატრიარქს მის მიერ დახატული ნახატი აჩუქა.

— მე როგორც ვიცი, საოცრად კეთილები, სიკეთით სავსენი არიან ისინი, — განაცხადა უწმინდესმა.

შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციის „ერთად“ მიერ იყო მოწყობილი. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ოლგა ასათიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, დღევანდელი დღე არაჩვეულებრივი საჩუქარია მათი შვილებისთვის.

ამასთან, დაუნის სინდრომის მქონე ერთ-ერთი ბავშვის დედამ ყველა მშობელს ურჩია, რომ საკითხს ტრაგიკულად არ შეხედონ. მისივე თქმით, ბავშვები ჩვეულებრივად ვითარდებიან, შესაძლოა, რაღაც საკითხებში ჰქონდეთ შეფერხება, თუმცა, ყველაფერი ადვილად გადასალახია და მთავარია, რომ ისინი ძალიან კარგი ბავშვები არიან.

# ფედერაციის საბჭომ ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში მიღების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა

**რუსეთის ფედერაციის საბჭომ გუშინ გამართულ რიგგარეშე სხდომაზე ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში მიღების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა.**




რუსული მედიის ინფორმაციით, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ყირიმის რესპუბლიკა და ქალაქი სევასტოპოლი რუსეთის ფედერაციის ახალი სუბიქტები ხდებიან. ამასთან, როგორც დოკუმენტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, „შეთანხმება ეფუძნება ყირიმის მოსახლეობის მიერ 16 მარტის რეფერენდუმზე გამოხატულ თავისუფალ და ნებაყოფლობით ნებას, რუსეთთან გაერთიანების შესახებ“.

შეთანხმების თანახმად, ყირიმის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მიღების დღიდან იქაური მცხოვრებლები რუსეთის მოქალაქეები ხდებიან, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში განაცხადებენ თავიანთი სურვილის შესახებ, შეინარჩუნონ ის მოქალაქეობა, რომელიც აქვთ.

შეთანხმებას, რომლის რატიფიცირებაც რუსეთის ფედერაციის საბჭომ გუშინ მოახდინა, 18 მარტს, კრემლში მოეწერა ხელი.

# ჟვანიასთან დაკავშირებით გავრცელებული მასალა ავთენტურია

**ამის შესახებ მთავარი პროკურატურის საზოგადოებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეიმურაზ დოლიძემ განაცხადა.**

როგორც მან აღნიშნა, გავრცელებული კადრები ავთენტურია, ვინაიდან მსგავსი კადრები მოიპოვება საქმის მასალებშიც. დოლიძემ ყოფილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას განცხადებაც შეაფასა.

— მურთაზ ზოდელავა აცხადებს, რომ ეს დელიკატური თემაა, მაშინ, როცა ჩვენებაში მან დააფიქსირა, რომ საქმეს არ იცნობს და ჩანაწერები ნანახი არ აქვს. შესაბამისად, გაუგებარია მისი განმარტება თემის დელიკატურობასთან დაკავშირებით, — განაცხადა თეიმურაზ დოლიძემ.

ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა ყოფილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას სამუშაო ოთახში ინახებოდა.

* * *

**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოყვა, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძამია დააკავა. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე პროკურორმა ნათია მეზვრიშვილმა განაცხადა. „ინტერპრესნიუსი“ პროკურატურის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:**

„საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოყვა, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძამია დააკავა. გამოძიებით დადგენილია, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად პრემიერ-მინისტრის და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული იქნა შესასრულებლად სავალდებულო „საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და მისი ოჯახის წევრების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის თანახმად, პრემიერ-მინისტრის დაცვას არ შეეძლო მიეტოვებინა დასაცავი ობიექტი. მიუხედავად აღნიშნულისა, 2005 წლის 3 თებერვალს, ღამის საათებში, ზ.ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსმა მ.ძაძამიამ არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და მიატოვა დასაცავი ობიექტი დაცვის გარეშე, რა პერიოდშიც ყოფილი პრემიერ-მინისტრი აღმოჩენილი იქნა გარდაცვლილი. ამავდროულად მიხეილ ძაძამიამ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნის მიუხედავად, არ შეატყობინა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვის და ოპერატიული მართვის სამმართველოს შესაბამის განყოფილებას დასაცავი პირის გადაადგილების შესახებ.

ზემოაღნიშნულით მ.ძაძამიამ ჩაიდინა სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება.

მიხეილ ძაძამიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 წლამდე ვადით“, — ნათქვამია განცხადებაში.

* * *

**ჟვანიასა და უსუპოვის ცხედრების ამსახველი მასალა 2005 წელს დათა ახალაიას კაბინეტში იყო, — ამის შესახებ ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ განაცხადა.**

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გადაღებული საგამოძიებო ფილმის — „ტყვიის გარეშე“ ავტორის ინფორმაციით, აღნიშნული მასალა უშიშროების სამინისტროში ჟვანიას გარდაცვალების დღესვე მიიტანეს.

„სოციალურ ქსელში ორი დღის წინათ გავრცელებული მასალა, სავარაუდოდ, სახელდახელოდ არის გაკეთებული და ვიდეოს ფორმით არ არის ჩაწერილი. დედანი არის ფოტომასალა. შეიძლება იყოს რაღაც ნაწილი ვიდეომასალიდან გაკეთებული. ამ მასალის შესახებ ვიცოდი. ჩემი მოსაზრებით, ეს არის ფოტომასალა, რომლის შესახებაც მე მქონდა ინფორმაცია. მასალა, რომელზეც მე მქონდა ინფორმაცია, აღწერილობით ძალიან გავს სოციალური ქსელებით გავრცელებულს. მასალა, რომელზეც მე ვსაუბრობ, ჰქონდა უშიშროების სამინისტროს, კერძოდ, დათა ახალაიას გავლენის ქვეშ მყოფ ადამიანს, გვარად კოტარიას. მათ გააკეთეს ეს მასალები. უშიშროების სამინისტროში მიიტანეს იმ დღესვე და მას შემდეგ როგორ აღმოჩნდა პროკურატურაში, უცნობია. ეს მასალა დათა ახალაიას კაბინეტში იყო 2005 წელს. მე ამის შესახებ მოწმეებისგან ვიცი. შემდეგ ეს საქართველოდან გაიტანეს, სად წაიღეს, იყო თუ არა პროკურორის სეიფში, ეს უკვე არ ვიცი, — აცხადებს კომახიძე.

ჟურნალისტი იხსენებს, რომ, როდესაც ის ფილმზე მუშაობდა, მაშინაც ამბობდნენ, რომ ზურაბ ჟვანიას ჰქონდა სხვა დაზიანებებიც, რომელზეც ოფიციალურად ინფორმაცია არ ვრცელდებოდა.

ამასთან, კომახიძის ინფორმაციით, გამოძიებას ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს აძლევდა ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძამიაც, რომელიც პროკურატურამ დააკავა. კომახიძე იხსენებს, რომ ძაძამია ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას აძლევდა ჟვანიას ოჯახსაც.

**ინტერპრესი**

⊙ ინფორმაცია

# ერგნეთში ჟურნალისტებისთვის კარავი დადგეს

**გუშინ ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა.**

**შეხვედრის დაწყებამდე ოსური ჯგუფის ხელმძღვანელს, ხოხ გაგლოითს კომენტარი არ გაუკეთებია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლის კახა ქემოკლიძის განცხადებით კი, ქართული მხარე შეხვედრაზე ქარელის რაიონის სოფლებში ატოცსა და ღოღეთში შექმნილ მდგომარეობას განიხილავს. გარდა ამისა, ქართული მხარე გააპროტესტებს ბოლო პერიოდში საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებს.**

**გარდა ამისა, ერგნეთში სიახლეც არის — ინციდენტების პრევენციის ფორმატში მიმდინარე შეხვედრების რამდენიმეწლიანი ისტორიის მანძილზე, პირველად, მეორე კარავი დაიდგა, აღნიშნული კარავი მედიის წარმომადგენლებისთვის არის გათვალისწინებული.**

**ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს პროფესიული დღეც მიულოცეს და განაცხადეს, რომ პრესამ უფრო კომფორტულად რომ შეძლოს მუშაობა, სწორედ აქედან გამომდინარე მიიღეს გადაწყვეტილება, კიდევ ერთი კარავი დადგმულიყო მედიისთვის.**

# „ივანიშვილის სტილს და კომუნიკაციის ფორმას ხალხი უკვე შეეჩვია“



**ივანიშვილ-მარგველაშვილის დაპირისპირების გასაჯაროვების შემდეგ, საზოგადოება შოკში ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ამსახველმა ვიდეომასალამ ჩააგდო. აღნიშნული საკითხების დამთხვევას ნაციონალები საეჭვოდ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ხელისუფლება კრიზისული ვითარების გადაფარვას სკანდალური ჩანაწერებით ცდილობს.**

**თუ რას ფიქრობენ ხელისუფლებაში ოპონენტთა მოსაზრებებზე? — ამის გარკვევის მიზნით, for.ge გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს გიორგი ცაგარეიშვილს ესაუბრა:**

**— ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გვამების ამსახველი ვიდეომასალა გავრცელდა. კადრების ნახვის დროს, თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, ყოფილი პრემიერი მოკლულია თუ გაზითაა გარდაცვლილი?**

— ამ კადრების ავთენტურობა, ფაქტობრივად, დადგენილია, რადგან გოგლა ჟვანიამ დაადასტურა, რომ ეს ფოტოები საქმეში დევს. არ მგონია, რომ გაზით გაგუდული ადამიანების შარვალი ასე იყოს დასვრილი. აბსოლუტურად გამორიცხულია, გაზით გაგუდული ადამიანები კორიდორში იყვნენ გაშოტილი. ამას გარდა, გაზით გაგუდული ადამიანის სხეული ასე არ გამოიყურება, ცხედრებს გვამური ლაქები ჰქონდა და ა.შ. ვიზუალურად რომ შეხედოთ, კითხვებს უსუპოვი უფრო ბადებს, ვიდრე ჟვანია. ჟვანიას თავის ქალის ტრეპანაცია არის მომხდარი და სხეულს დიდი სისხლჩაქცევები ეტყობა. გარდაცვალების მიზეზი შეიძლება, სისხლჩაქცევებიც ყოფილიყო.

**— თუმცა, ჟვანიას ცხედრის ექსპერტიზაში მონაწილე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი ლევან ჩაჩუა ამტკიცებს, რომ სოციალური ქსელით გავრცელებული ფოტოები ფალსიფიცირებულია...**

— ამ ადამიანის არ მჯერა. ჩაჩუას არ უნდა ვენდოთ, რომელიც ამ საქმეზე ვითომდა ერთადერთ ჭეშმარიტებას ქადაგებს.

**— რატომ არ ენდობით?**

— ფოტოები ნახეთ? ამ სურათებს, რატომ არ უნდა ვენდო? ჩიჩუას რატომ უნდა ვენდო, რომელიც სამხარაულმა ადგილზე გაუშვა, თავად სამხარაული კი მოკლეს. სინდისიერი ხელისუფლება გვმართავდა, რომ მათ დავუჯეროთ? ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმე გაიხსენეთ, მასალები როგორ იყო გაყალბებული. გვამების ექსჰუმაცია მოხდება და თუ გარეგანი დაზიანებები, რაც ფოტოზეა, ექსჰუმაციის შედეგებს დაემთხვა, წრე შეიკვრება. როცა ჩაჩუა ამბობს, რომ კადრები ფალსიფიცირებულია, მან უნდა იცოდეს, რომ ამ გვამების ექსჰუმაცია მოხდება. გვამების ექსჰუმაცია ბევრ რამეს ფარდას ახდის.

**— ჟვანიას სკანდალური საქმის გამოძიების დასრულებას და დამნაშავეების დასჯას საზოგადოება დიდი ხანია ელის, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საქმის მასალებზე ხელი სამართალდამცავებს მიუწვდებათ, ეს შოკისმომგვრელი კადრები როგორ გავრცელდა?**

— სოციალურ ქსელებში ამგვარი ფორმით კადრების გამოტყორცნა არ მომწონს. ეს კადრები ჩემიანმა გაავრცელა თუ სხვისიანმა, ის ყველა შემთხვევაში ნაძირალაა, მაგრამ ვიდეოჩაწერებს ვინ ახორციელებდა და ვის შეეძლო მისი გარეთ გამოტანა? 2012 წლამდე, ამას მიხეილ სააკაშვილი და მისი ყაჩაღური ბანდა აკეთებდა. იცით, რომ არჩევნების შემდეგ, ნაძირლებმა კადრები გარეთ გაიტანეს. ყელმოღერებული ხაჩიძეების, მინაშვილების და სხვათა ადგილზე რომ ვიყო, სირცხვილით ქუჩაში არ გამოვიდოდი, რადგან 21-ე საუკუნეში ადამიანებს ლამის სააბაზანო ოთახებში ულებდნენ და საბნის ქვეშ უძვრებოდნენ. სხვათაშორის, ეს იმ ქვეყანაში, რომელსაც ბუშმა აღმოსავლეთ ევროპაში „დემოკრატიის შუქურობა“ დააბრალა.

**— ანუ თქვენ ეჭვობთ, რომ ეს კადრები შესაძლოა, წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ იყოს გავრცელებული? კადრების გავრცელება მათ მიზნებში რატომ შეიძლება შედიოდეს — საკუთარ თავს „სამარეს უთხრიან“?**

— სავარაუდოდ, ეს ფოტომასალა კარებიდან არის გატანილი. „ორი გვამის“ მოთხოვნის ვიდეო გახსოვთ? ამას ვინ იღებდა — ალასანია, ღარიბაშვილი თუ მე? — ეს ვაჟბატონები იღებდნენ. თუ დადგინდება, ეს კადრები ვინ გადაიღო, ისიც გაირკვევა ეს ვიდეომასალა ვინ გაავრცელა.

**— თუმცა, თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ივანიშვილ-მარგველაშვილის დაპირისპირებას კადრების გავრცელება საეჭვოდ დაემთხვა. მსგავსი კადრებით მანიპულირება, ამჟამინდელი ხელისუფლების ინტერესებში არ შედის?**

— არ მგონია, ივანიშვილ-მარგველაშვილს შორის ისეთი რამ მომხდარიყო, რასაც თემის გადაფარვა დასჭირდებოდა. თემებს ვინც ფარავდა, საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს. პრემიერის განცხადებაში იოტისოდენა ეჭვი არ შემაქვს, რომ გამოძიება მალე დასრულდება. გოგლა ჟვანიას ვესაუბრე და მითხრა, რომ გამოძიება კარგად მიდის და ის საქმის გახსნას 2014 წელს ელოდება. საქართველომ უნდა გაიგოს, როგორ კვდებოდნენ პრემიერები.

**— და, გაიგებს?**



— ძალიან მალე გაიგებს.

**— რაც შეეხება ყოფილ პრემიერსა და პრეზიდენტს შორის არსებულ უთანხმოებას, ბიძინა ივანიშვილის პათოსს იზიარებთ?**

— ბატონი ბიძინა გამოვიდა და პრეზიდენტი გააკრიტიკა, რომელმაც საკითხები განსახილველად გარეთ არ გამოიტანა და ამით თემა დახურა. ივანიშვილი როცა ხელისუფლებიდან მიდიოდა, თქვა, რომ გუნდის კრიტიკას დაიწყებდა.

**— ბატონო გიორგი, ეს არ იყო მხოლოდ კრიტიკა, ყოფილმა პრემიერმა თქვა, რომ მარგველაშვილმა იმედები გაუცრუა და ის არჩევნების შემდეგ შეიცვალა. ისე, რომ 60 წელს მიტანებულ მილიარდერს მსგავსი მაგალითი არ ახსოვს...**

— ეს მისი აზრია. ბატონი ბიძინა მოქალაქეა და აღარ არის პოლიტიკოსი. შემიძლია, ორი დადგენილი ფაქტი გითხრათ. ერთი ის, რომ ივანიშვილი არის ისეთი როგორიც არის, ის არ შეიცვლება. მეორე კი, მარგველაშვილი პრეზიდენტია და ამას უნდა შევეგუოთ. მართალი გითხრათ, სააკაშვილის დამთავრება ივანიშვილმა შეგვაძლებინა. სხვანაირი ივანიშვილი სააკაშვილს ვერ დაამთავრებდა, მაგალითად — ჩემნაირი ივანიშვილი. ეს ყველაფერი მომწონს, იმიტომ, რომ ევროკავშირში ერთ თარგზე მოჭრილებს არ მიგვიღებენ.

**— თქვენ ამბობთ, რომ „ივანიშვილი არის ისეთი, როგორიც არის, ის არ შეიცვლება“. როგორია, რას გულისხმობთ?**

— პირდაპირი, რომელიც არაფერს ერიდება და სათქმელს პირდაპირ ამბობს. ეს მისი სტილია.

**— თუმცა, ეს სტილი რამდენად მომგებიანია თქვენი გუნდისთვის, როცა ყოფილ პრემიერს შიდა სამზარეულო გარეთ გამოაქვს?**

— ეს სხვა საკითხია. ამაზე შეიძლება ვიდავოთ.

**— მაშინ, როდესაც 62 პროცენტით არჩეულმა პრეზიდენტმა ყოფილ პრემიერს იმედები გაუცრუა, როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის ეს განცხადება რა გავლენას მოახდენს დავით ნარმანიაზე? რა გარანტია აქვთ თბილისელებს, რომ ნარმანიას მერად არჩევის შემთხვევაში, ივანიშვილი ისევ არ იტყვის, რომ მას იმედები გაუცრუვდა?**

— არ ვფიქრობ, რომ ამან შეიძლება ნარმანია დააზიანოს. ივანიშვილის სტილს და კომუნიკაციის ამ ფორმას ხალხი უკვე შეეჩვია. ასეთი პირდაპირობის გარეშე, რაც ივანიშვილს ახასიათებს, ჯერჯერობით, საქართველო ძნელად წარმომიდგენია. ივანიშვილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა როგორც პოლიტიკაში, ასევე სამოქალაქო სექტორში და ეს შეიძლება ვინმეს არ სიამოვნებდეს, მაგრამ ივანიშვილს ნაკლებად აღელვებს ის, ვის მოსწონს და ვის — არა.

**— როგორც ითქვა, ივანიშვილ-მარგველაშვილს შორის უთანხმოების მიზეზი — მრჩევლის პოსტზე ვანო მაჭავარიანის დანიშვნა, ავლაბრის რეზიდენციაში გადასვლა და მოწმეთა დაკითხვის წესზე ვეტოს დადების საკითხი გახდა. მარგველაშვილი პრეზიდენტის სასახლეში უნდა გადასულიყო?**

**მან თქვა, რომ რეზიდენციას ცერემონიებისთვის გამოიყენებს. მან გადაწყვეტილება იმით გაამართლა, რომ პრეზიდენტებს ორ ოთახში ვერ შეხვდება. იცით, რომ მაისში, საფრანგეთის პრეზიდენტი ჩამოდის და მარგველაშვილმა რა ქნას, ფრანსუა ორლანდი „ხრუშჩოვკაში“ მიიღოს?**

— მარგველაშვილი როცა პრეზიდენტი გახდა და სასახლეში შესვლაზე უარი განაცხადა, მან ის რატომ ვერ გათვალა, რომ პრეზიდენტებს ორ ოთახში ვერ მიიღებდა? მან შეცდომა აქ დაუშვა. პირველ რიგში, პიარული თვალსაზრისით. შეცდომა დაუშვა, მაგრამ არ მგონია, რომ პრინციპებს გადაუხვია.

**— პრეზიდენტის მრჩევლის პოსტი ვანო მაჭავარიანს უნდა დაეკავებინა?**

— პრეზიდენტს მრჩევლები ქუთაისიდან დავუნიშნო? — ჩემი მრჩევლებიც მეყოფა. ეს საკითხი მისი გადასაწყვეტია. ბატონ ბიძინას არ მოსწონს, რომ მაჭავარიანი მისი მრჩეველია, მაგრამ რა არის ამაში ტრაგიკული და საზარელი? დედამიწის ჭიპი მაჭავარიანაზე გადაიკვეთა? პრობლემა ის არის, რომ ეს ყოფილმა პრემიერმა თქვა, რაც საზოგადოებას გაუკვირდა, რადგან მგალობლიშვილი გვახსოვს, რომელიც ერთ კვირაში გააგდეს, გილაური იყო, რომელიც პრემიერის გარდა, ყველაფერი იყო. ჟვანია მოკლეს. ნოღაიდელი კი ვინ იყო, სად იყო, რისთვის და რა ფოკუსები მოაწყო, ეს ვიცით. ივანიშვილმა თქვა, რომ გაგაკრიტიკებთო და ქვეყანა დაიქცა?

**— თუკი ასეთი დამოუკიდებელია პრეზიდენტი და თუ თქვენ ამას მიესალმებით, მოწმეთა დაკითხვის ვადების გადაწევაზე მიღებულ კანონზე, მას რატომ არ დაადებინეთ ვეტო, რისი სურვილიც თავად გამოთქვა?**

— ჭეშმარიტება კამათში იბადება. ბევრი მსჯელობა იყო და გადაწყდა, რომ ასი კანონიდან ერთზე ვეტო არ დაედო.

**— გიორგი მარგველაშვილს პოსტიდან გადადგომა არ ემუქრება?**

— ვისგან? რატომ? რა არის ამის მიზეზი? გიორგი მარგველაშვილი ხუთი წელი პრეზიდენტი იქნება.

**თეონა მანაგაძე**

**ალიან-ჩალიანი**

## შიხიაშვილი საბურთალოს, კრწანისისა და ისნის რაიონების გამგებლების მოხსნას ითხოვს

**თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელს სევდია უგრეხელიძეს თბილისის სამი გამგებლის გათავისუფლების მოთხოვნით მიმართავს. ირაკლი შიხიაშვილი საკრებულოში 20-მდე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს გუშინ შეხვდა, სადაც, სარევიზიო კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით სამი რაიონის გამგებლის მონაწილეობით მიმდინარე აქციის შედეგები განიხილეს.**

**როგორც შიხიაშვილმა აღნიშნა, საკრებულოს სარევიზიო კომისიას გარკვეული დასკვნები ჰქონდა საბურთალოსა და კრწანისის რაიონების გამგეობების მიერ თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით. მისი თქმით, კონკრეტულად, საუბარია საბურთალოს რაიონის შემთხვევაში ამხანაგობების თავმჯდომარეების მიერ შექმნილ სათათბიროს წევრებისთვის ერთჯერად ანაზღაურებაზე და კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ სოციალურად დაუცველთა დაფინანსების დოკუმენტაციის დარღვევით შედგენაზე.**

**როგორც შიხიაშვილმა აღნიშნა, საკრებულოს შენობასთან აღნიშნული რაიონების გამგებლების ინიციატივით და ორგანიზებით მიეწყო აქცია და იქ იმყოფებოდნენ: კრწანისის რაიონის გამგებელი ხათუნა ბერძენიშვილი, საბურთალოს რაიონის გამგებელი გია ხუროშვილი და ისნის რაიონის გამგებელი თორნიკე ხუციშვილი. შიხიაშვილმა მიმართა სევდია უგრეხელიძეს, მოკლე ვადაში მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება და თანამდებობიდან გაათავისუფლოს აღნიშნული პირები. თუ მერის მოვალეობის შემსრულებელი ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, შიხიაშვილი მიიჩნევს, რომ სევდია უგრეხელიძე აღნიშნული გამგებლების საქმიანობის თანამონაწილეა.**

**ინტერპრესი**

## დემოგრაფიული ბალანსი სამხრეთ კავკასიაში

ქალბატონმა თამარ ჩიბურდანიძემ გადაცემის მსვლელობაში აღნიშნა, რომ კავკასიაში და, კერძოდ, ამიერკავკასიაში დაირღვა დემოგრაფიული ბალანსი, მაგრამ მას აზრის დასრულება ვინ აცალა. ბატონი ვატო იმწამსვე საუბარში ჩაეჩარა და სიხარულით წამოიძახა: „ბალანსი დადგენილია? როდის იყო ბალანსი დადგენილი?“ როდის იყო და როდინობის კვირაში ბატ. ვატო, როდესაც ვამბობთ, რომ ბალანსი დაირღვა, ე.ი. წინათ არსებული ბალანსი, კავკასიაში ჩამოყალიბებული რაოდენობრივი თანაფარდობა დაირღვა. ნუთუ თქვენ მართლა გგონიათ, რომ დემოგრაფიული ბალანსის დადგენა შეიძლება? ბალანსი მარტო შემოსავალ-გასავალს შორის სხვაობას კი არ გულისხმობს, არამედ მოვლენებს შორის თანაფარდობასაც. თუ გსურთ, ამით მსმენელს ნაცარი შეაყაროთ თვალებში? ბალანსის დარღვევის შესახებ კი შემდეგი შეიძლება ითქვას: **ისტორიულად საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ყოველთვის მეტი იყო აზერბაიჯანის მოსახლეობაზე, ზოგიერთ წლებში 300-350 ათასი კაცითაც კი. 1965 წელს საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსახლეობა გათანაბრდა და ამჟამად აზერბაიჯანის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობას თითქმის 5 მილიონით სჭარბობს. თუ 1926 წელს საქართველოს მოსახლეობის წილი სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში 45,5 პროცენტს (თითქმის ნახევარს) შეადგენდა, ხოლო აზერბაიჯანისა — 39 პროცენტს, 2009 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად 26,5 პროცენტს და 54,0 პროცენტს უდრიდა. პერსპექტივაში, კერძოდ, 2050 წლისთვის თუ საგანგებო დემოგრაფიული ღონისძიებები არ განვახორციელეთ შობადობის ამაღლებისთვის, აზერბაიჯანის წილი სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში 62,6 პროენტი იქნება, ხოლო საქართველოსი — 18,7 პროცენტი, ამდენივე იქნება სომხეთის წილიც.** მაგრამ, არც გადაცემის წამყვანს და არც მის თანამეინახეებს ეს არ აინტერესებთ, ქვეყნის დემოგრაფიული ტკივილები ჩირადაც არ ულირთ და, როგორც ყოველთვის, შეგნებულად უნდოდათ, გადაცემა კინკლაობაში გადაეზარდათ და დაემცირებინათ ოცნების მიერ შობადობის ასამაღლებლად გატარებული ღონისძიებები.

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში ქართველი ერის პერმანენტული შემცირების შედეგად თანდათანობით საფრთხე ექმნება ეროვნულ ინტერესებს და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ძნელდება მათი რეალიზაცია, სახელმწიფო ენას უჭირს თავისი ფუნქციის შესრულება, ერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები, წესჩვეულებები კარგავენ ადრინდელ მიმზიდველობას. ასეთ ვითარებაში გარდაუვალია ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი ერის გენოფონდის ცვლილება. მოსახლეობის რაოდენობის შემცირება განსაკუთრებით საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან იგი ისეთ უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების ინტერესთა გადაკვეთის წერტილები საკმაოდ ბევრია და ამდენად საკუთარი ინტერესების დაცვა — გაძნელებული.

გადაცემის ერთ-ერთი მონაწილე ლევან კალანდაძე ბაიყუშივით იჯდა გადაცემაში, დრო და დრო წამოეშველებოდა ხოლმე თავის იდეურ თანამოაზრეებს. **„მე არ მგონია მოსახლეობის შესახებ მონაცემები ტრაგიკული იყოს. გადაშენება არ გვემუქრება. რაც ისტორიულად გასავლელი გზა გვაქვს, უნდა გავიაროთო“** — გვამშვიდებდა ბატ. ლევანი და განაგრძობს ტელემაყურებლის დამოძღვრას: **„თუ გვინდა მოსახლეობა გაიზარდოს, მაშინ აფრიკული მოდელი უნდა გადმოვიღოთ, ბავშვის აღზრდის ხარისხი უნდა შევამციროთო“.** შე კაი დედმამიშვილო, როდესაც არ იცნობ დემოგრაფიულ მონაცემებს, დემოგრაფიულ ვითარებას რეგიონებში და მაინც დემოგრაფიულ პრობლემებზე საუბრობ, მე მგონი, შენც კარგად იცი, ეს რისი ნიშანია. ამჟამად დაცარიელებულია საქართველოს ისტორიული კუთხეები: ფშავი, თუშეთი, ხევსურეთი, გუდამაყარი და ა.შ. ზოგან მხოლოდ თითო-ოროლა კაცი ცხოვრობს. თუ ასე გაგრძელდა 10-15 წელიწადში დაცარიელდება რაჭა და მას მალე მიყვება ლეჩხუმიც. მთელ რიგ რეგიონებში, კერძოდ, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელო-ზემო-სვანეთში, იმერეთში, გურიაში ათ, ზოგიერთში კიდევ ოც წელზე მეტია მოსახლეობის ბუნებრივ კლებას აქვს ადგილი — მეტი გარდაიცვლება, ვიდრე იბადება. ნუთუ ეს მონაცემები გაშიფვრის გარეშეც არაფერს გეუბნება? რომ იძახი, თუ მოსახლეობის გაზრდა გვინდა, მაშინ ბავშვის აღზრდის აფრიკული მოდელი უნდა გადმოვიღოთო (ჯერ ეს მოდელი არ არის), ე.ი. განათლების დონის ხარისხი უნდა დაეცესო, მაშინ ის როგორ გავიგოთ, როცა ამ ოციოდე წლის წინათ ბუნებრივი მატებაც მაღალი იყო და ახალგაზრდებიც შესანიშნავ განათლებას იღებდნენ. 1990 წლამდე მოსახლეობის ბუნებრივი მატება ზოგიერთ წლებში 60 და 67 ათას კაცსაც უდრიდა, ხოლო 2002 წელს 153 და 2003 წელს კიდევ 139 კაცს, ე.ი. ფაქტობრივად, რამდენიც იბადებოდა, იმდენი კვდებოდა და მოსახლეობის ნულოვან მატებას ჰქონდა ადგილი. ბატონო ლევან, პატარა გურიაში, საიდანაც თქვენ წარმოშობით ბრძანდებით, უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა, სოფლები დაცარიელებულია, მოსახლეობის ბუნებრივი კლებაა, დიდი ეკონომიკური სიდუხჭირეა და მესამე ბავშვის დაბადებაზე ყოველთვიური 150 ლარით ოჯახის წახალისება ნუთუ არ არის დემოგრაფიული პოლიტიკა? თუ ასეთი ურწმუნო თომა ბრძანდებით, მაშინ ერთ საგულისხმო ფაქტსაც დაგისახელებთ. **1980-იან წლებში, ათ წელიწადში, საქართველოში 455 ათასი გოგონა დაიბადა, ხოლო 2000-2009 წლებში, ისევ ათ წელიწადში — თითქმის მათი ნახევარი — 236 ათასი გოგონა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს გოგონები, როდესაც შევლენ ნაყოფიერების ასაკში, ისედაც დაბალი შობადობის დონე, დაახლოებით 2020 წლიდან განახევრდება და თუ ახლავე რაიმე არ ვიღონეთ შედეგად დემოგრაფიულად წელში ვეღარ გავიმართებით.**

## ლოჭინზე ნაკურთხი პროფესორი

გადაცემაში ქალბატონ თამარ ჩერგოლეიშვილს ყველაზე საიმედო მოკავშირე პროფესორი გია წულაძე გახლდათ. მართალია, გია წულაძე ლოჭინზე ნაკურთხი პროფესორია, მაგრამ იმდენი კი იცის, რომ რაც გადაცემაში სისულელეები ითქვა, იმაზე ხმა ამოეღო, თუმცა თავისიანებს ხომ არ დაუწყებდა ეთერში კრიტიკას. კერძოდ, მან შესანიშნავად იცის, რომ გაეროს მიერ პერსპექტივაში საქართველოს მოსახლეობის გაანგარიშების დროს 1980-იანი წლების საწყისი მონაცემები არ ყოფილა აღებული და ა.შ. საზოგადოებამ ისიც უნდა იცოდეს, რომ მან ქვეყანაში მთლიანად ჩაკლა დემოგრაფიული მეცნიერება. როგორც ამბობენ, წულაძემ, რომელიც ექსპრეზიდენტის მამობილის ახლო ნათესავი იყო, ნათესაობის წყალობით და ქართული სულიერების მოძულე გიგი თევზაძის დახმარებით მოახერხა დემოგრაფიის ინსტიტუტის ხელში ჩაგდება და შემდეგ გიგი თევზაძის რწმუნებული ილიას უნივერსიტეტისთვის მისი მიერთება. საკმარისია ერთი ფაქტის

# რამ გააწიწმატა ჰამჰულები



დასახელებაც. **დემოგრაფიის ინსტიტუტში ჩატარებული საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში, რომელიც თითქმის მთლიანად არასპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული, გიგი თევზაძის დახმარებით შეიყვანეს 37-იანი წლების პოლიტკომისრების ტყუპისცალივით მსგავსი გია ნოდია და ლევან თარხნიშვილი, რომლებსაც დემოგრაფიის ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდათ. სამაგიეროდ, ინსტიტუტი დატოვა თითქმის ყველა ცნობილმა მეცნიერმა, მათ შორის, ხუთმა პროფესორ-დემოგრაფმა და მათ ადგილებზე თავიანთი შვილები მიიყვანეს სამუშაოდ. ცნობისთვის ისიც საჭიროა ითქვას, რომ აკადემიის სხვა ინსტიტუტებში საკუთარი სურვილით შტატებიც კი გაყვეს და ნახევარ-ნახევარ შტატებზე დაასაქმეს თანამშრომლები, უმუშევრები რომ არ დარჩენილიყვნენ.**

პროფ. გია წულაძე გადაცემაში ყოველმხრივ ცდილობდა ის ღონისძიებები, რაც დემოგრაფიის სფეროში ქართული ოცნების ხელმძღვანელობით გატარდა, აბუჩად აეგდო და არაფრისმომტანად ჩაეთვალა. იგი უაღრესად არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებდა ცალკეულ დემოგრაფიულ პრობლემებს, ცდილობდა, დაეკნინებია საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ცალკეული პერიოდები. წულაძე და გადაცემაში მონაწილე მისი ამფსონები დასავლეთის ქვეყნების მაგალითზე არასწორ მოსაზრებას ანვითარებდნენ იმის შესახებ, რომ, მართალია, დასავლეთში მაღალია შემოსავლების დონე, მაგრამ ნაკლები ბავშვები ყავთო და ამას მხოლოდ ფასეულობათა სისტემაში მომხდარი ცვლილებებით ხსნიდნენ, რაც არასწორია. მაგრამ თუკი ამ თანაფარდობის უკანასკნელი ინსტანციას ჭეშმარიტად მივიღებთ, მაშინ ჩვენთან როგორც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნისთვის, შობადობის მაღალი დონე უნდა იყოს. სწორედ დემოგრაფიის არცოდნის გამო ვერ ხსნიან ეს ბატონები იმას, რომ საქართველო პარადოქსულ მდგომარეობაშია და თავისი ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიუხედავად, მისთვის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების დემოგრაფიული ტენდენციებია დამახასიათებელი (დაბალი შობადობისა და მოკვდაობის მაღალი დონეები, გვიანი ქორწინება, მიგრაციული პროცესების მაღალი ინტენსიობა და სხვ.).

მართალია, დასავლეთში შემოსავლების დონე მაღალია, მაგრამ ასევე მაღალია ბავშვთა მოვლისა და აღზრდის ხარჯებიც. ამას შემდეგი მარტივი მაგალითიც ნათელყოფს. **ჩვენთან ძიძის დაქირავება საშუალოდ 400 ლარზე მეტი არ ჯდება. უცხოეთში კი ძიძის დასაქირავებლად 1000 ევრო თუ არა 1000 დოლარი მაინც არის საჭირო, ე.ი.ჩვენთან შედარებით 5-8-ჯერ მეტი. ამიტომაა, რომ ქართველი ქალები, ეკონომიკურ სიდუხჭირეს რომ თავი დააღწიონ, აღმოსავლეთის ქვეყნებში მუშაობენ ძიძებად. 2008-2009 წლებში ეკონომიკური კრიზისის პერიოდში გელაპმის ოსტატების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 68 ათასმა ქალმა გადაავადა ბავშვის გაჩენა იმ მოტივით, რომ ბავშვის გაჩენას, აღზრდასა და მოვლას ოჯახური ბიუჯეტის დიდი ნაწილი ხმარდება. ამიტომ დასავლეთის ქვეყნებში, სადაც უფრო მაღალია შემოსავლების დონე და უფრო ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკა ტარდება შობადობის ასამაღლებლად, შობადობის დონეც შედარებით მაღალია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში 2,1 ბავშვს ბადებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა არ მცირდება. ეს მაჩვენებელი ისლანდიაშიც 2,1 უდრის, საფრანგეთში — 2,0, ინგლისში 1,8; ამასთან ამ ქვეყნებში ეს კოეფიციენტი 10-15 წლის წინათ გაცილებით დაბალი იყო.**

პროფ. წულაძემ, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის კლება, როგორც ჩანს, სრულებითაც არ ენაღვლება, გადაცემაში შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: საქართველოს მოსახლეობა რაღაც პერიოდის შემდეგ დაიწყებს შემცირებას, მაგრამ 28 პროცენტით შემცირება ფიზიკურ განადგურებას არ ნიშნავს, მოსახლეობა იქნება 3,2 მილიონიო. რაო, ლოჭინზე ნაკურთხო პროფესორო, ჯერ ერთი, საქართველოს მოსახლეობა კარგა ხანია მცირდება — 2002-2013 წლებში შემცირდა 4371 ათასიდან 3736 ათასამდე თქვენივე გაანგარიშებით და მეორეც, ამ შემცირების შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა უცბად გაიზრდება? თუ აქედანვე საჭიროა განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება, რათა ეს პროცესი როგორმე შევანელოთ და შემდეგ დავიწყოთ ფიქრი მოსახლეობის გამრავლებაზე. ალბათ, ასე უნდა მოვიქცეთ, მაგრამ ესეც არ არის მთავარი. თუ დემოგრაფიულ სატკივარს პირდაპირ ვიტყვით მიუკიბ-მოუკიბავად, მოსახლეობა მცირდება ძირითადად ქართველებით დასახლებულ რეგიონებში. საკმარისია ითქვას, რომ გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის სოფლის მოსახლეობა მხოლოდ ბუნებრივი კლების შედეგად რვა წელიწადში —1997-2004 წლებში — 51238 კაცით შემცირდა. გარე მიგრაციული პროცესის შედეგად, ალბათ, ბევრით მეტად. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ტიტულოვანი ერი (ჩვენ შემთხვევაში ქართველები, რომლებმაც სახელწოდება მისცეს ქვეყანას) არ გაქრეს. თუ ამის საშიშროებას ვერ ხედავთ და მხოლოდ პირადული ზრახვები გამოძრავებთ გიგი თევზაძესთან ერთად, როგორმე გრანტები არ დაკარგოთ, ძალიან ცუდადაა საქმე, რადგან ამ ჩვენს საწყალ, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ფეხქვეშ გათელილ და გასაცოდავებულ სამშობლოში, სამწუხაროდ, მარტო თქვენ არ ფიქრობთ ასე — თამარ ჩერგოლეიშვილისნაირ, ნინია კაკაბაძისნაირ და კიდევ ბევრ ნაირ-ნაირებს რა გამოლევს. ლიბერალებისა და ბევრი სხვა ჭკუანაღრძობთა გავლენით დიდი საშიშროების წინაშე მდგარი ქართველი ერის ტკივილებზე ხმამაღლა თქმასაც ვერიდებით. მაგრამ ჩვენთან მცხოვრები ჭეშმარიტი სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებთანაც ერთად გამოგვივლია ასეული წლები, საერთო ცხოვრების წესი ერთმანეთისთვის დაგვიახლოვებია, ლხინი და ჭირი კაცურად თანაბრად გაგვიყვია სხვაგვარად ფიქრობენ. მათ ჩვენი ერის გასაჭირისთვის ნიშნის მოგებით არასოდეს შეუხედავთ და ახლაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ და დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი ქართველებისთვის ნამდვილად შესტკივათ გული.

გავიხსენოთ. თბილისში მცხოვრები დიდი სომეხი დრამატურგი გაბრიელ სუნდუკიანი აღნიშნავდა: „ჩვენ, საქართველოში აღზრდილი სომხები ქართული მიწით ვართ გაზრდილნიო“. ცნობილი თბილისელი სომეხი პოეტი ჰოვანეს თუმანიანი კი ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის მგზნებარე დამცველი იყო. მას 13 შვილი ჰყავდა. ოსმალეთის ომის დროს, სადაც მისი უფროსი ვაჟი დაიღუპა, ჰოვანეს თუმანიანმა შვიდი ქალიშვილი გაგზავნა ფრონტზე მოწყალების დებად. როცა სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ საქართველოს ჯარი შემოუსია, ჰოვანეს თუმანიანის რამდენიმე ქალიშვილი ერევანში მოხვდა და მან უბრძანა შვილებს, არ მიეღოთ მონაწილეობა ამ ომში, თორემ ის მათ დაწყევლიდა (ბ.არველაძე). მისივე აზრით, „თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიოს მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს... ქართველები მათ შორის ერთი ყველაზე საუკეთესო მეზობლები არიან“. ცნობილია აგრეთვე, თუ რაოდენ ენდობოდა ერეკლე მეორე აზერბაიჯანელ ხუდია ბორჩალოელს. ასპინძის ომის დროს მტკვარზე ხიდის აყრა სწორედ მას და სვიმონ მუხრან ბატონიშვილს დაავალა. ხუდია და სხვა ბორჩალოელები და ელნები ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ ასპინძის, ნახჩევანისა და სხვა ბრძოლებში. დავით ბატონიშვილი მათ „ელნი ჩვენნებს“ უწოდებს.

ჩვენ მეტის გაკეთება გვმართებს სომხებთან და აზერბაიჯანელებთან ინტეგრაციისთვის. ამჟამად ისინი თითქოს ჩვენგან გაუცხოვდნენ. საერთო ცხოვრების ფერხულში ერთად ვერ ჩავებით. არ იგრძნობა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებისა და ჯავახეთის სომხების ცხოვრებით დაინტერესება, ფაქტობრივად გაწყვეტილია მათთან ეკონომიკური და კულტურული კავშირები — თითქოს ჩვენთვის ქვემო ქართლი და ჯავახეთი გარე სამყარო იყოს. თუმცა, ქვეყანა ისე დამძიმებულია პრობლემებით, რომ არც სხვა რეგიონებთან გვაქვს საჭირო კონტაქტები. ტელევიზია, რომელსაც ამ საქმეში უდიდესი როლის შესრულება შეუძლია, ძირითადად მხოლოდ დედაქალაქის პრობლემებითა და კულტურული ცხოვრებით კმაყოფილდება — ისიც ცალმხრივად, ჯერ კიდევ უმეტესად ნაციონალების თვალთახედვის პოზიციებიდან და ამასთან უმეტესად ყვითელ პრესაში დაბეჭდილი მსგავსი ამბების გაშუქებით. ამის დასტურად განსაკუთრებით მაია ასათიანისა და ნანუკა ჟორჟოლიანის გადაცემებიც კმარა, თავი რომ დავანებოთ ვითომ მიუკერძოებელ ეკა ხოფერიასა და ინგა გრიგოლიას გადაცემებს.



**ანზორ თოთაძე,**
**პროფესორი, დემოგრაფი**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 56

# მსოფლიოს გადანაწილების ახალი ფაზა

**რა ბედნიერებაა, როდესაც ამ უკიდეგანო დედამიწაზე მარტო არ ხარ. დღეიდან, ჩვენ შეგვიძლია წელგამართულმა ვიაროთ და თუ ხმამაღლა არ ვიტყვით – მარტო ჩვენ კი არ ვართ გადაქანებული, უკრაინელებიც არიანო, გულში მაინც ვიტყვით. მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ ჩვენს 2008 წლის აგვისტოს მაგალითს ესოდენი სიხარბით ჩაეჭიდებოდა უკრაინა და ზუსტად თუ არა, მიახლოებით ისეთ ნაბიჯს გადადგამდა, შიგნითაც და გარეთაც, ყველას თვალს რომ დაუბრმავებდა.**

სიტყვა „მიახლოებითი" იმიტომ ვახსენე, რომ უკრაინა, პირდაპირი მნიშვნელობით ჯერ არ შებმია რუსეთს, ვერბალურად – იცოცხლეთ. და თუ შეებმება, არც მას დაადგება კარგი დღე და არც მის წამქეზებელ დასავლელებს. იცის ეს დასავლეთმა და ამიტომაც რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებას კატეგორიულად გამორიცხავს.

მსგავსი რამ მომაკვდინებელი იქნება ყველასთვის, მაგრამ ცდუნებას რომ არ მოხდეს, დავასწრებ და პირველივე დარტყმით გავანადგურებ რუსეთსო, ჟურნალისტმა და ანალიტიკოსმა დიმიტრი კისილიოვმა ვრცელ საკვირაო, საინფორმაციო გადაცემაში „იტოგი" ყველასთვის, მათ შორის დასავლეთისთვის გასაგებ ენაზე თქვა – დარტყმის შემთხვევაში, ავტომატურ რეჟიმში ამოქმედდება საგანგაშო სიგნალი და თავდამსხმელის ტერიტორია საპასუხო სარაკეტო დარტყმებით განადგურდებაო.

ბირთვული იარაღი უდიდესი რამ არის ომის შეჩერების საქმეში. ბირთვულმა იარაღმა განაპირობა დედამიწის მშვიდობა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან დღემდე. ბირთვული იარაღი აფერხებს დიდ სახელმწიფოებს კარდინალური ნაბიჯების გადადგმაში. არ ყოფილიყო ბირთვული იარაღი და არ იქნებოდა ის ვითარება, რაც დღეს და იქნებოდა გაუთავებელი ომები დიდთა შორის, უდიდესი მსხვერპლითა და ნგრევით.

პატარა ომები არის და იქნება, ხშირად დიდ სახელმწიფოთა მიერ წამოწყებული, მაგრამ სხვა დიდებთან, ბირთვულ იარაღიანებთან, პირდაპირი თუ ირიბი შეთანხმებით. ასეთი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კორეაში, ვიეტნამში, ერაყში. ასეთი ომია ავღანეთში. ამ ომებში დიდები თითქოს არ მონაწილეობენ (ავღანეთის გამოკლებით). ისინი ადგილობრივ ძალებს ეხმარებიან, მაგრამ მსგავსი დახმარება არ იძლევა საბაბს ერთმანეთთან პირდაპირი დატაკების, რაც სამწუხაროდ არ იცის უკრაინის უკანონო ხელისუფლებამ. რომ ცოდნოდა, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, იაცენიუკის პირით, არ თხოვდა ომის გაჩაღებას რუსეთის წინააღმდეგ ან იარაღის მიცემას.

საქართველოს გუშინდელმა ხელისუფლებამ ამ ამბის გაგების შემდეგ წელგამართულმა უნდა იაროს. ისიც ხომ ამერიკა-ნატოსგან რუსეთის წინააღმდეგ ომს ითხოვდა?!

ბირთვული იარაღის გარეშე დარჩენილ ქვეყნებს, როგორც ჩანს ნაკლები პასუხისმგებლობა აქვთ მსოფლიო მშვიდობაზე, ამიტომაცაა მათი საქციელი ზედმეტად მჩატე. ცხადია, ამას ყველაზე ვერ ვიტყვით. ყველა, ქართულ-უკრაინული საზომით არ გაიზომება.

მსოფლიოში არსებული ბირთვული იარაღის არსენალიდან უდიდესი ნაწილი ამერიკა-რუსეთზე მოდის. ორივეს ძალუძს, როგორც ერთმანეთის, ისე მთელი მსოფლიოს რამდენჯერმე დანგრევა. სწორედ ეს არასახარბიელო პერსპექტივა აიძულებს მათ, იყვნენ გაცილებით ჭკვიანნი და თავშეკავებულნი, ვიდრე ბირთვული იარაღის არმქონენი.

**უკრაინას ჯერ არ გადაუდგამს საბედისწერო ნაბიჯი, ისეთი, როგორც საქართველომ გადადგა 2008 წელს. და თუ ეს მოახერხა, ჩვენ ბედს ხომ ძაღლი არ დაჰყეფს. მაშინ, სულ სარგადაყლაპულივით ვივლით.**

რას მიაღწევს უკრაინა ამით? – საკუთარი სუვერენიტეტის მიწასთან გასწორებას, ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებას. რას ვერ მიაღწევს? აშშ-ის და ნატოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩათრევას.

მავანი შემედავება, რა შუაშია საქართველო და უკრაინა – ქართველებს ომი არ დაუწყიათ, ისე, როგორც უკრაინელებს, ვითარება არ დაუძაბავთ, ეს ყველაფერი სააკაშვილისა და დღევანდელი უკრაინელი პოლიტიკოსების ბრალიაო. სინამდვილეში ასეცაა.

**ომს ხალხი არ იწყებს. ომს ხელისუფლება იწყებს – ხალხის არჩეული. არ აირჩევდა ხალხი 2008 წლის იანვარს სააკაშვილს პრეზიდენტად და არ იქნებოდა აგვისტოს ომი. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – ხალხი რომ გონივრულად მოქცეულიყო და ომის შემდეგ, ნაცვლად პარლამენტთან გამართული ცეკვა-თამაშისა, სააკაშვილსა და მისი ხელისუფლების დაუყოვნებელი გადადგომა მოეთხოვა, რუსეთი აღარ აღიარებდა აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობას.**

**უკრაინელი ხალხი, ნაცვლად კიევის მაიდნის სეირის ყურებისა, გვერდში რომ დადგომოდა თუნდაც კორუმპირებულ იანუკოვიჩს, ბანდერული დროებითი მთავრობა ვერ მივიდოდა ხელისუფლებაში; რადა არ მიიღებდა რუსთა დისკრიმინაციულ კანონებს და რეფერენდუმიც არ ჩატარდებოდა ყირიმში; არც აღმოსავლეთი უკრაინა აიქოჩრებოდა კიევის „ხელისუფლების" წინააღმდეგ და ა.შ.**

**ზემოთ იანუკოვიჩის კორუმპირებული ხელისუფლება ვახსენე, მაგრამ რით შეიცვალა ის? იშვიათად შეიძლება მოიძებნოს იმ რაოდენობის პასუხისგებაში მიცემული პირი, თანაც გაქანებული ცისფერი, რამდენიც უკრაინის „რევოლუციურ" ხელისუფლებაში. თუ ამას დავუმატებთ მათ ბანდერულ იდეოლოგიას, დავინახავთ, რომ საქმე არათუ კარგად, საშუალოზე გაცილებით უარესად არის. უკრაინის „რევოლუციამ" თავი მოუყარა მთელი ევროპის ექსტრემისტულ ძალებს, ულტრამემარჯვენეებს, სვასტიკიან ახალგაზრდებს. და თუ ეს გაგრძელდა, კარგი არაფერი დაადგება უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერ დასავლეთს.**

დასავლეთი დღეს მათ რუსეთის საპირისპირო ძალად აღიქვამს, მაგრამ რა იქნება ხვალ? როგორც ჩანს, დასავლეთი არათუ სხვის შეცდომებზე არ სწავლობს, არამედ თავისაზეც, თორემ „ალ-ქაიდასა" და „თალიბანის" შემქმნელ აშშ-ს, ალერგიული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ბანდერელების მიმართ.

დიახ! მესამე მსოფლიო ომი დედამიწისთვის კატასტროფის მომტანი იქნება, მაგრამ რა უშლის დიდთა ერთმანეთთან არაპირდაპირ დაპირისპირებას? არც არაფერი. ზემოთ აღვნიშნე მსგავსი ირიბი დაპირისპირების შესახებ, რომლის მთავარი ამოცანა ერთმანეთისთვის ძალის გამოცლაა, უფრო მნიშვნელოვანი საქვეყნო საქმეებიდან, ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანაა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან დღემდე აშშ არაერთ ირიბ, აგრესიულ ქმედებას ახორციელებს რუსეთის მიმართ. გაიხსენეთ, „ფერად-ყვავილოვანი" რევოლუციები, ახლო აღმოსავლეთისა და სხვა მოვლენები. პირდაპირი, მით უმეტეს, ბირთვული დაპირისპირება არ ხდება, მაგრამ სიცოცხლის გამწარება ხომ ხდება?

სხვა რა შეიძლება ეწოდოს მოვლენას, რომელიც მოხდა 2008 წლის აგვისტოსა და მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში საქართველო-უკრაინის სახით? ორივე ამბავი ისეთ დროს დაემთხვა, ოლიმპიური თამაშები რომ ჰქვია. თამაშები, რომელიც ომს აჩერებს. ვერ შეაჩერა. და რომ ვერ, ლომის წილი აშშ-ის რეაქციულ წრეებზე მოდის.

ძნელია დაიჯერო, რომ ზამთრის ოლიმპიური თამაშების პერიპეტიებში ჩართულ რუსეთის პრეზიდენტს, პარალელურად უკრაინის ასაბუნტებლად ეფიქრა ან 2008 წლის აგვისტოს პეკინის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე დამსწრე პუტინს ცხინვალის ომი დაეწყო. ორივე შემთხვევაში მსოფლიოს გონივრულად მოაზროვნე საზოგადოებამ იცის, ვინ იდგა და დგას ამ მოვლენების უკან. იცის, მაგრამ თავს იკავებს საჯარო ლაპარაკისგან. მით უმეტეს გაკიცხვისგან.



უკრაინის მიმდინარე წლის მოვლენებმა, ამერიკის გარკვეული თუ „გაურკვეველი" სპეცსამსახურების თანამშრომელთა მოჭარბებულმა აქტიურობამ, აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ მეამბოხეების მხარდაჭერამ და არალეგიტიმური ხელისუფლებისთვის დახმარების გაწევის დაპირების მიცემამ, თავისთავად ახადა ფარდა იმ ფარულ ოპერაციას, რომელიც ვაშინგტონმა მოსკოვის წინააღმდეგ განახორციელა.

**უკრაინის ხელისუფლებაში სექტანტების, გეებისა და კრიმინალების მიყვანით, დიდმა ქვეყანამ საკუთარი დემოკრატიულობის ხარისხის ლუსტრაცია მოახდინა. უკრაინა, ამ შემთხვევაში მხოლოდ საჯილდაო ქვაა, ამერიკული ექსპერიმენტის პოლიგონი.**

უკრაინის გადაბირებით რუსეთს უდიდესი პრობლემები ექმნება. მარტო ის რად ღირს, როდესაც დასავლეთის საზღვრებთან მტრულად განწყობილი მეზობელი იქნება?! დასავლეთი ყველაფერს ილონებს უკრაინის ნატოში შესაყვანად, არც ევროკავშირის წევრობას დაიშურებს მისთვის რუსეთის ჯიბრზე.

რა დარჩენია რუსეთს? შემუშავებული პოზიციის განმტკიცება, ყირიმის, რუსეთის შემადგენლობაში მიღება, სირიის, ვენესუელის, ირანის მიმართ მტკიცე პოზიციის დაფიქსირება. მხოლოდ მტკიცე პოზიცია მოდრეკს დასავლეთს. მხოლოდ მტკიცე პოზიციით მიიღწევა, დასავლეთის მხრიდან პატივისცემა. „შიში შეიქმს სიყვარულსა" – პოზიციიდან უნდა წარმართოს მან თავისი საგარეო პოლიტიკა, ვინაიდან დასავლეთი სწორედ ასეთს სცემს პატივს და არა მასთან კუდის მოქიცინეს.

კუდის მოქიცინე ელცინის მთავრობამ ჩააგონა აშშ-ს, რომ რუსეთი ანგარიშგასაწევი ძალა არ არის, რომ ის სუსტი სახელმწიფოა, დაახლოებით ისეთი, დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ტეტჩერმა რომ შეარქვა – „ბირთვულიარაღიანი მაღალი ვოლტა" (მივარდნილი აფრიკული სახელმწიფო).

უკრაინა, თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, აღარ იქნება ისეთი სახელმწიფო რუსეთისთვის, როგორიც იყო. ამის შესაძლებლობას მას აშშ და ევროპა არ მისცემენ. რუსეთს მოუწევს უკრაინასთან საზღვრების გამაგრება, საზღვრისპირა რაიონებში ანტისარაკეტო სისტემების განთავსება, რაც საკმაოდ ძვირი დაჯდება.

აშშ-მა მიაღწია მთავარს, რუსეთის საშინაო პრობლემებიდან, ქვეყნის აღმშენებლობის პროცესიდან, ყურადღების უკრაინაზე გადატანას. შეძლებს კრემლი ამერიკული მზაკვრული გამოწვევებისთვის ჯეროვანი პასუხის გაცემას?

16 მარტს, ყირიმის რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, ახალი მსოფლიოს შექმნაში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება.

**ეს ის დღეა, როდესაც რუსეთმა, ცალსახად და პირდაპირ ხმა ამოიღო ამერიკული ჰეგემონიზმის წინააღმდეგ. იქნებ, ამ დღიდან დაიწყოს ნამდვილი დემოკრატიული მსოფლიოს მშენებლობა?**

**იქნებ, კაცობრიობამ, ამერიკული „დემოკრატიით" გაბეზრებულმა, მკაცრად მოსთხოვოს ჯერჯერობით ჰეგემონს, საკუთარი და მხოლოდ საკუთარი პოზიციების განსამტკიცებელ ბინძურ ინსტრუმენტებზე ხელის აღება?**

იქნებ, სახეშეცვლილი მსოფლიოს შემყურე აშშ-მა ნაწილობრივ მაინც უარი თქვას ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე?

იქნებ, ამერიკელმა პოლიტიკოსებმა საკუთარი თავი აღარ მიიჩნიონ კაცობრიობის მხსნელად, ისეთად, მაკკეინი რომ მიიჩნევს?

ტელეკომპანია „Fox News"-თან ინტერვიუში, ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას - დაიკარგა თუ არა ყირიმი, სენატორმა განაცხადა – ვშიშობ, რომ ასეა, ხოლო ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა გეიტსმა თქვა, რომ ყირიმი რუსეთს ხელიდან ვერ გაუსხლტდება.

დააკვირდით კითხვა-პასუხს, მეტადრე ყირიმის დაკარგვა-არდაკარგვის თემას და იმას, თუ სად ხდება ლაპარაკი. როდესაც ამერიკული ტელეკომპანია თავს უფლებას აძლევს ყირიმის დაკარგვაზე ისე ილაპარაკოს, თითქოს ამერიკისა ყოფილიყო - ყველაფერი ნათელია.

აშშ-ის სენატორს შეუძლია ილაპარაკოს ყირიმის დაკარგვა-არდაკარგვაზე იმ აუდიტორიის წინაშე, ვინც საერთოდ არ იცის, სად არის ყირიმი; დაადანაშაულოს რუსეთი, როგორც აგრესორი; შავით შემოსოს პუტინი და ა.შ.: **„ამისთვის მათ უნდა ვანანოთ. ჩვენ გაფაციცებით უნდა ვადევნოთ თვალი აღმოსავლეთ უკრაინას, ვინაიდან, ასეთი წარმატების შემდეგ, პუტინს შეუძლია, გაჰყოს უკრაინა. ჩვენ უნდა აღვადგინოთ მიტოვებული პროექტი - ჩეხეთსა და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსება, დავაჩქაროთ საქართველო-მოლდოვის ნატოში შესვლა, დავაწესოთ რუსეთის ოლიგარქებზე სანქციები"** და ა.შ.

ყირიმი, აშშ-დან ათეულ-ათასობით კილომეტრზე დაშორებული, ამერიკელი სენატორის განსჯის საგანი ხდება, მაშინ, როდესაც მეზობელ რუსეთს, იგივე ამერიკა, უკრძალავს ყირიმის მოსახლეობის გადაწყვეტილებაზე რეაქციას.

რატომ თვლიან აშშ-ის პოლიტიკოსები, რომ ყირიმელთა რეფერენდუმი ბლეფია, ხოლო 2008 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები - წმინდა და გამჭვირვალე?

რატომ თვლის ვაშინგტონი, რომ მსოფლიოს ნებისმიერი კუთხე თავისია და იქ მიმდინარე პროცესები მხოლოდ მან უნდა „მოაწესრიგოს"? იქნებ 16 მარტს ამერიკელთა ამ სურვილს დაესვა წერტილი?!

იმავე ინტერვიუს დროს სენატორი მაკკეინი სააკაშვილსაც ახსენებს: **„მე არ ვიცი, რის გაკეთება შეუძლია (უკრაინის ხელისუფლებას) სამხედრო თვალსაზრისით. ის ძალიან სერიოზული სამხედრო ძალის წინაშე არის. საქართველოში სააკაშვილმა დაუშვა შეცდომა, დაიწყო რა კონფლიქტი. ახლა ის მძიმე დღეშია, მაგრამ ყოველივე ეს მოხდა არა შემთხვევით. და ყოველივე გაჟღერებული პრეზიდენტის ადმინისტრაციის (იგულისხმება აშშ-ის) მხრიდან არის შედეგი არაეფექტიანი საგარეო პოლიტიკის".**

არადა სააკაშვილმა, თვით ამერიკელი ექსპერტების მინიშნებით, სწორედ მაკკეინს გაუგორა კოჭი 2008 წლის აგვისტოს.

ყირიმმა, მსოფლიოს პოლიტიკოსობას „ცივი ომის" პერიოდი გაახსენა. თუმცა, გულწრფელად უნდა ითქვას, რომ მაშინ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის არსებობდა უსიტყვო შეთანხმება. საბჭოთა კავშირი არ ერეოდა ამერიკული გავლენის სფეროებში ისე, როგორც ამერიკა – საბჭოეთის. არსებობდა გარკვეული პატივისცემაც – თუნდაც ასეთი ხასიათის – კრემლმა ვაშინგტონს წინასწარ შეატყობინა ჩეხეთში ჯარის შეყვანა, რაზეც ვაშინგტონმა დაახლოებით ასეთი რამ თქვა - თქვენი ზონაა და თქვენ იცითო, მაგრამ ჩვენ საჯაროდ გაგკიცხავთო.

დღეს, სხვა ვითარებაა – საკუთარ ძალებში და პირველობაში დარწმუნებული ვაშინგტონი ლამის „წითელი მოედნის" წართმევით ექადნება რუსეთს.

მსოფლიო გადანაწილება ახალ ფაზაში შედის. სამეულის (სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი) მიერ გამოჭრილმა რუკამ, კარგა ხანს იარსება. მაშინ სამივენი ფიქრობდნენ, რომ მათი შეთანხმებით, მინიმუმ 50 წლით უნდა ყოფილიყო მშვიდობა დედამიწაზე.

მოსკოვში ჩასულმა ჩერჩილმა, რომელთანაც ხანგრძლივი მოლაპარაკება გამართა საბჭოთა მხარემ სტალინის მეთაურობით, განაცხადა: **„მოდით მოვაწესრიგოთ ჩვენი საქმეები ბალკანეთზე. ჩვენი ჯარები რუმინეთსა და ბულგარეთში არიან. ჩვენ გვაქვს იქ ინტერესი, გვყავს მისიები და აგენტები. წვრილმანებზე ნუ ვიჩხუბებთ. თანახმა ხართ თუ არა, რუმინეთში 90%-იან თქვენს პოზიციებზე, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ გვქონდეს 90%-იანი პოზიცია საბერძნეთში, იუგოსლოვიაში კი – ნახევარ-ნახევარზე შევთანხმდეთ.**

**ვიდრე თარჯიმანი თარგმნიდა, მე ავიღე ქაღალდის ნახევარი და დავწერე – რუმინეთი – 90% რუსეთს, სხვებს - 10%. საბერძნეთი - დიდ ბრიტანეთს (აშშ-თან შეთანხმებით) 90 %, რუსეთს – 10%. იუგოსლავია – 50-50%-ზე. უნგრეთი – 50-50%-ზე. ბულგარეთი – რუსეთს – 75%, სხვებს – 25%.**

**მე ეს ფურცელი სტალინს გადავეცი, რომელმაც უკვე მოისმინა თარგმანი. სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ მან აიღო ცისფერი ფანქარი და ქაღალდზე მსხვილი, დიდი აღნიშვნა („პტიჩკა") გააკეთა. ქაღალდი დამიბრუნა. ამ საკითხის დარეგულირებას იმაზე მეტი არ დასჭირებია, ვიდრე დაწერას.**

**მოლაპარაკება გაგრძელდა და როდესაც დასასრულისკენ წავიდა, ყურადღება მივაქციე ქაღალდს. მე ვთქვი, არ გეჩვენებათ ცინიკურად, რომ ჩვენ ექსპრომტად გადავწყვიტეთ საკითხი, რომელიც მილიონობით ადამიანის ბედს ეხება. დავწვათ ეს ქაღალდი. არა, თქვენ დაიტოვეთ, – თქვა სტალინმა".**



ჩერჩილის მოგონება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ურთიერთპატივისცემას, რასაც ადგილი ჰქონდა იმჟამინდელ მოკავშირეებში. ამასთან გვახსენებს, რომ დიდთა „თამაში" სხვა რამეა, „პატარათა" მხრიდან შორს ყოფნა და ჭკვიანური მოქცევა რომ სჭირდება. მაგრამ რას უშველის შეგონება მავან პოლიტიკოსს, თუ ბუნებამ არ უშველა?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №220



# „პოეზიის რაინდი“

ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ რომ წინასწარმეტყველები არიან, ეს არაერთგზის გვაგრძნობინა და გვაუწყა ლიტერატურის ისტორიამ... ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, შოთა ნიშნიანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყალყზე შემდგარ საქართველოში“ ქართველი დედების სრულიად განსხვავებული, სულისშემძვრელი სახეები წარმოგვიდგა: არც ცხრა ძმა ხერხეულიძის ამაყი დედა, არც ვეფხთან მებრძოლი მოყმის მაღალ სულიერ ეგზისტენციას ნაზიარები დედა, არც შვილების გმირობით შარავანდედმოსილი შაოსანი დედები, არამედ სრულიად უნუგეშოდ დარჩენილნი, „ტაძრის თუ ბაღის კუთხეში“ ჩამომსხდარნი, „მორიდებულად ხელგაშვერილი“ დედები...

ტრადიციული თემის ამგვარი შემობრუნება, მით უმეტეს, ტრადიციონალისტი პოეტისგან, რისკის ტოლფასია, მაგრამ ტკივილი ზუსტად აფორმებს უფსკრულივით სახიფათო სათქმელს და როცა იმ ქალბატონებს, უპატრონოებს, ბედის ანაბარა დარჩენილებს, მათივე თანამედროვე პოეტი „მომტვრეულ ციხის ქონგურებს“ ადარებს, საქართველოს ისტორიის ყველაზე ღირსეულ ფურცლებში აუცილებელ, თვალსაჩინო ილუსტრაციასავით უძებნის ადგილს.

შოთა ნიშნიანიძის ვარაუდი, რომ მათი შვილები და ქმრები აფხაზეთში არიან მოკლულნი, კიდევ უფრო ამძაფრებს სათქმელს, რადგან წაგებულ ომში სიკვდილი ის თემაა, რაც ასევე წინასწარმეტყველურად დაებედა საქართველოს უახლეს ისტორიას.

**„ამ ყალყზე შემდგარ საქართველში**
**ვინ გაიკითხოს მტყუან-მართალი?“**

პოეტის სულისკვეთების ბოლომდე განზოგადებისთვის შემოდის მოულოდნელი პასაჟი, სახარებისეული სიმბოლიკით: ვინც არ განვიკითხეთ, სწორედ ის იყო ჩვენთან მოსული უფალი ან იქნებ დედა უფლისა...

ათეიზმის და თეიზმის მიჯნაზე მდგარი ჩვენი სამშობლო, ტაძრებიდან გულგრილად გამოსული ნაწილი მრევლისა ვითომ სიყვარული, ვითომ პატრიოტიზმი, ეგზალტირებული ე. წ. „პატრიოტთა ბანაკები“... და ამ „ვითარებისა“ და „თითქოსდა“-ს ფონზე შიში: არ შეიბღალოს ყველაზე მთავარი...

**„ქალი – თეთრი თმის შარავანდედით,**
**ქალი – უმწარეს ბედით დევნილი...**
**ვაითუ, მართლა უფლის დედაა,**
**ხსნად და იმედად ცით მოვლენილი?**
**შიშით და ელდით მიფეთქავს გული,**
**ჩემსავით, ალბათ, სხვებიც შიშობენ,**
**როგორ გავბედო და პურის ფული**
**როგორ ჩავუგდო ხელში ღვთისმშობელს“...**

* * *

**2014 წლის მარტში, შოთა ნიშნიანიძის დაბადებიდან 85 წლისთავზე,** სრულიად ცხადია, რომ მისმა შემოქმედებამ დროს გაუძლო, ანუ სიცოცხლისუნარიან დროის გადასახედიდან, მისი „ციხესიმაგრეებიდან“ და „ნანგრევებიდან“ იყურება თანამედროვე წარსული და გადმოქართულებას თვით მოცარტის თემის ჩვენს ტკივილებთან მივყავართ...

**„მოცარტი ომში წაიყვანეს,**
**ხვალინდელი მომავალი მოცარტი“...**

(მიახლოება მსოფლიო ლიტერატურის გზავნილთან: ყველა ადამიანში შესაძლოა მოკლულიაო მოცარტი...)

მირზა გელოვანის გაუხმაურებელი წერილის სტრიქონიც მაგონდება: **„კაცის კვლის სწავლა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე ფიქრი სინტაქსზე“...**

და მაინც, ომშიც და მშვიდობის ჟამსაც ერთნაირად მოდის გაზაფხული... ბრუნდებიან გადაფრენილი წეროებიც...

**„მოფრინდნენ წეროები... მოფრიდნენ წეროები...**
**მოფრინდა ინდოეთს საგაზაფხულო ფოსტა.**
**ყივილით ჩეროებით მოხატეს მდელოები...**
**ფუნჯები თუ დაებნა ცაში უხილავ ოსტატს?!**
**არის ამ ჟრიამულში რაღაც სხვა გაბრუება,**
**სამყაროს პირველ შექმნის მუსიკის მონამტვრევი,**
**შიში და სიხარული მშვიდობით დაბრუნების,**
**ტკივილიც, სიყვარულიც ნახვის და**
**მონატრების:**
**...მოაგნეს საქართველოს... მოაგნეს,**
**მოატირეს...**
**ხელებს შლის ცა და ხმელი სამოთხის**
**დასადარი.**
**ვაი, რომ აქაც არის თოფი და**
**მონადირე,**
**ვაი, რომ უსიკვდილოდ სამოთხე**
**არსად არის...**

შოთას არასოდეს წაუკითხავს საკუთარი ლექსი საჯაროდ“... – იგონებს შოთა ნიშნიანიძის მეუღლე ქალბატონი თამარ ჩიჯავაძე. მართლაც, ის არ გახლდათ პოეტი-ტრიბუნი, არც იმიჯის შექმნისთვის ექსტრავაგანტურ თავგადასავალთა მაძიებელი, პოეტთა უცნაურობებს რომ მიაწერენ... არც უცხოეთის გზებზე მოგზაური...

მას ტრადიციული, შეჩვეული სივრცე და ინტონაცია ჰქონდა ცხოვრებისთვის თუ შემოქმედებითი შთაგონებისთვის...



*შოთა ნიშნიანიძე – 85*

„თქვენ პოეზიის სახელგანთქმული რაინდი ბრძანდებით, თქვენი ლექსებით ესალმებით ქართველ ხალხს და ღვთიური ნაბიჯით ცხებულ ქართულ მიწა-წყალს...“

ლადო გუდიაშვილი

„კვირაძალს საკითხავში“ შოთა ნიშნიანიძის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდს შემოგთავაზებთ, მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანის – მეუღლის თვალით დანახულს.

### *ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲘᲯᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ:*

*შოთას, რაც არ უნდა უცნაურად გეჩვენოთ, არ უყვარდა მოგზაურობა. უცნაურს იმიტომ ვამბობ, რომ თითქმის ყველა შემოქმედი მოგზაურობის ტრფიალია. აქედან გამომდინარე, შოთა უცხოეთშიც არასოდეს ყოფილა. ერთი ორი-სამი თვით რომ მიდიოდე, კიდევ ჰო, თორემ რაღაც ათი დღით წასვლა და ისიც სხვის ჭკუაზე რაღაც პროგრამით თუ გრაფიკით სიარული რა სიამოვნებააო. მერე სიცილით იტყოდა: კანტიც არ გასულა კენიგსბერგიდანო.*

*ერთხელ იტალიაში მსოფლიოს საბავშვო მწერლების ფორუმი გაიმართა. საბჭოთა კავშირის დელეგაციაში რეზო ინანიშვილიც მონაწილეობდა. ამ ფორუმიდან რამდენიმე დღის დაბრუნებულ რეზოს შეხვედრია შოთა მწერალთა კავშირში. კიდევ მეტყვით, რომ არ გინდა უცხოეთში წასვლაო – გვიტევდა პოზიციაგამაგრებული. – ასეთი შეურაცხყოფილი არასოდეს ვყოფილვარ, – უთქვამს რეზოს. – სანამ ფული არ გადაგვიხურდავეს, ტუალეტებშიც კი ვერ შევდიოდით, რაკი ტუალეტებიც ფასიანი იყოო. მერე რაღაც გროშები მოგვცეს, რითაც პატარ-პატარა სუვენირები ძლივს ვიყიდეთ. სხვა ქვეყნის მწერლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ, რესტორნებში ისხდნენ და იტალიურ პიცებსა და ღვინოს მიირთმევდნენ და გაოცებული გვიცქერდნენ, ვინ იცის, ფიქრობდნენ ეს რა ძუნწი და უჟმური ხალხიაო...*

*ამა, ეს ქვეყანააო? – ამბობდა, – შენ არ მაძლევ არა? იმისი ნება მაინც მომეცი, მე წავიღო რამდენიც მინდაო...*

* * *

ᲨᲝᲗᲐᲡ არასდროს წაუკითხავს ლექსი საჯაროდ. შეიძლება, სურვილი ჰქონდა კიდეც, მაგრამ არ ეხერხებოდა. ამიტომაც ამბობდა უარს შეხვედრებსა და იუბილეებზე.

სულ ახალი შეუღლებულები ვიყავით. ფუნიკულიორზე რაღაც გრანდიოზული, ფესტივალის მსგავსი შეხვედრა იმართებოდა. მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები... ერთი სიტყვით, ახალგაზრდა შემოქმედთა შეკრება იყო. შეკრების ერთ-ერთი ორგანიზატორი ბატონი იოსებ ნონეშვილი გახლდათ. დაწესებული იყო პრიზები, რომლებიც გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცემოდათ. ბატონი იოსები შოთას დაჰპირდა: თუ წაიკითხავდა ლექსს, აუცილებლად გადასცემდა მთავარ პრიზს – ტელევიზორს. ტელევიზორი მაშინ ნანახიც არ გვქონდა და შეძენაზე ხომ ოცნებაც არ შეგვეძლო.

არა, ნანახი კი გვქონდა. გავიგეთ თუ არა, შოთას ერთმა ნათესავმა მოსკოვიდან ტელევიზორი ჩამოიტანაო, მაშინვე წავედით სანახავად.

მაშინ სატელევიზიო გადაცემები კვირაში ორჯერ იყო: თუ არ ვცდები, ხუთშაბათს და კვირას. ჩვენ არ გაგვიმართლა, იმ დღეს გადაცემები არ იყო, მაგრამ ოჯახის უფროსმა დიასახლისმა მაინც ჩაგვირთო ტელევიზორი. ეკრანზე ჭადრაკის დაფა გამოჩნდა. დღეს არაფერი არ არისო და მაშინვე გამოთიშა. რა მოხდებოდა,

→



ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

ცოტა ხანს რომ გვეცქირა-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის.

და აი, ამ დროს შანსი გაგვიჩნდა, ტელევიზორი შევვეძინა, თანაც უსასყიდლოდ, საჩუქრად!..

დილით წავიდა საგანგებოდ გამოწყობილი შოთა ფუნიკულიორზე. მე გულისფანცქალით ველოდებოდი შინ. გულს ვერ ვუდებდი საქმეს, წარამარა გარეთ ვიხედებოდი, მაგრამ ტელევიზორის დასადგამი ადგილი მაინც შევარჩიე.

დამნაშავესავით შემოვიდა ეზოში ხელცარიელი შოთა.

ლექსს წაიკითხავს შოთა ნიშნიანიძეო, რომ გამოუცხადებიათ, ამხელა კაცი ჩაკუზულა, ხალხში მიმალულა და გამოპარულა.

აი, ნახე, რა მალე ვიყიდით ტელევიზორსო, მამშვიდებდა იმედგაცრუებულს, კარგა ხანს დაგვჭირდა ლოდინი...

* * *

მე მაინც მგონია, შოთას ბევრჯერ გაეხსნა ცა მისი არც თუ ისე ხანგრძლივი და არც თუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. ბევრის მთხოვნელი ის არც ღვთისგან ყოფილა და არც კაცისგან. ოჯახის წევრების, შვილის და შვილიშვილების ჯანმრთელობა, ყოველი ახალი ლექსის დაბადება, ახალი წიგნის გამოცემა ბედნიერება იყო და ცის გახსნაც სხვა რაღა უნდა იყოს.

აი, როგორ უპასუხა შოთამ ერთ-ერთ ინტერვიუში კითხვას: „რა არის ბედნიერება და კერძოდ პოეტის ბედნიერება“?

„პოეტის ბედნიერება მისი აღიარებაა, მაგრამ ეს ბედნიერება დროებითია და წარმავალი. როგორც სრულყოფილი ბედნიერება არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ბედნიერებით თავის მოტყუება. თვითონ ძლიერნი ამა ქვეყნისანი მეფეები და მილიარდერები ბედნიერების გაგების მიმართ სკეპტიკრად არიან განწყობილნი. ბედნიერების ცნება პირობითი და პიროვნულია, ვისთვის რა არის ბედნიერება. რაც ერთისთვის ბედნიერებაა, მეორესთვის შეიძლება უბედურება იყოს. სხვაა თათქარიძის ბედნიერება და სულ სხვა აინშტაინისა. თუ ჯორდანო ბრუნო უარს იტყოდა თავის რწმენაზე, რომის ინკვიზაცია მას გაათავისუფლებდა. ჯორდანო ბრუნომ რწმენის ღალატს კოცონზე ასვლა არჩია. ალბათ, რწმენისადმი ერთგულება იყო ამ ღმერთკაცის ბედნიერება.

ჭეშმარიტი პოეტის გული პაწაწინა სანემსე ბალიში მგონია, შიგ იმდენი სატკივარია ჩაბუდებული, მისი სიტყვა კი ადამიანებს ტკბილ გალობად ჩაესმით: პოეტის ბედნიერება ის არის, რომ იგი ვერასოდეს ვერ იქნება ბედნიერი“.

### როცა მე გარდავიცვალე

**როცა მე გარდავიცვალე, იდგა აღდგომის სწორი,**
**ზღაპარში ხარი ატირდა, სახლში – შვილი და ცოლი.**
**შემიდგნენ არაგველები თავის მგალობლის ცხედარს,**
**ფარებზე გადამიწვინეს და წამასვენეს მცხეთას.**
**– საით, ბიჭებო, – გავძახე...**
**მითხრეს: უფლისა ნებით,**
**იქ დიდი საქართველოა, იქ აღარავინ ვკვდებით...**
**მე ჩავუარე ბავშვობას – ბურთს თამაშობდა მინდვრად,**
**ადგა და გამომეკიდა, ღვარღვარა ცრემლებს ღვრიდა.**
**გადავუფრინე ციხეებს,**
**მთლად საქართველოს სერებს.**
**– ისე იყავით, კარგებო, როგორც გხატეთ და გწერეთ...**
**რა კარგი იყავ, სიცოცხლევ, ვერ მოგიყირჭე ქებით,**
**მტრებიც კი მყავდნენ კარგები, არა თუ მარტო ძმები.**
**მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ, ვეღარ გიხილავ ხვალე,**
**ფალავნების და მგოსნების სტუმართმოყვარე მხარე.**
**სულმა დავლოცე ცოლ-შვილი და პატიებაც ვთხოვე**
**ჩემი ცხოვრების სიხარულთ,**
**ჩემს ჯვარს და სვეტიცხოველს.**
**როცა მე გარდავიცვალე, იქ დავიბადე მყისვე,**
**ჩემი გვარის და სახელის ვიღაც ატირდა ისევ.**
**იტირე, ჩემო პატარავ,**
**გამახარე და მტანჯე,**
**ტირილით უთხარ მადლობა ჩვენს მარადიულ გამჩენს...**

---

# ყოვლისმომცველი თამაში

## (იბეჭდება შემოკლებით)

თამაში მკვეთრად უპირისპირდება უტილიტარულ-პრაქტიკულ საქმიანობას და ბადებს მძაფრ ემოციებს თავად ქმედების პროცესში.

თამაში მრავალგვარია, მაგრამ ყოველი მათგანი აგებულია **წარმოსახვითი რეალობის** პრინციპზე. თვით გლადიატორების ბრძოლაც კი, სადაც ადამიანები იღუპებოდნენ, ომის იმიტაცია იყო და არა თვით ომი. ასეთი ომიც თამაშია, ოღონდ, ცხადია, მაყურებლისთვის და არა გლადიატორისთვის.

ეგზისტენციალისტებმა თვით ცხოვრებაც კი თამაშად გამოაცხადეს, რადგან ნებისმიერ ასპარეზზე ყველა მიღწევა თუ წარმატება, ისევე როგორც მარცხი თუ წარუმატებლობა, ფსიქოლოგიური ეფექტით უტოლდება ჩვეულებრივი თამაშით მიღებულ მოგება-წაგების ემოციას. ამ თვალსაზრისით, ყველა ადამიანი შეპყრობილია თამაშის მანიით.

ეჭვს არ იწვევს **თამაშის მიბაძვითი რაობაც,** რამეთუ ყველა მოთამაშეს თვალწინ უდგას წარსულში გამარჯვებულის ეტალონი. ასეთი მიბაძვა გულისხმობს წარმოსახვითი როლის გათამაშებასაც, რაც ხელს უწყობს საკუთარი თავისაგან სასურველი სახე-ხატის შექმნას.

ანუ ცხოვრებაც თამაშისგან მოქსოვილი თეატრია...

ნებისმიერი ბაძვა შეიცავს **პერსონაჟს,** თეატრის „ფორმულის“ აუცილებელ კომპონენტს. იგი პერსონაჟს შეიცავს მაშინაც კი, როდესაც საიდენტიფიკაციო პირი თავად მოთამაშეა.

ნებისმიერი თამაში, ამა თუ იმ ფორმით, თუნდაც უმარტივეს დონეზე, შეიცავს ფაბულის ელემენტს. მაგრამ თკუი იგი დაკავშირებულია რაღაც მიზანთან, იგი უთუოდ **კომპოზიციად** ყალიბდება. ბუნებრივია, რომ ტოტემიზმის ხანაში, როცა ადამიანი მთლიანად დამოკიდებული იყო საკუთარი ქმედების წარმატებაზე ნადირობასა თუ შემგროვებლობაში, თამაშმა შეიძინა მიზნობრივი ხასიათი და კონკრეტულ **სიუჟეტად** ჩამოყალიბდა. ცხადია, სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, აქ უპირატესობა მინიჭებული ექნებოდა სამონადირეო რიტუალს. აშკარაა, ზოომორფიზმის ხანამ საფუძველი ჩაუყარა თეატრალურ ხელოვნებას, რადგან ცხოველის მიბაძვა **გარდასახვის** გარეშე შეუძლებელია.

თამაშს სულ სხვა მიმართულება მისცა **ლეგენდებისა** და **თქმულებების** წარმოშობამ. ზეპირსიტყვიერება ინახავდა და თაობიდან თაობას გადასცემდა მონათხრობს ამა თუ იმ გმირობაზე, ბელადის სიბრძნეზე, მათი ტომის თუ გვარის წარმომავლობაზე. ტოტემური რიტუალისგან განსხვავებით, რომელშიც მონაწილეობა ყველასათვის შეუზღუდავი იყო, თხრობამ გაჰყო **მთხრობელი** და **მსმენელი,** თანაც ისე, რომ მთხრობელს დააკისრა თამაშის ყველა პირობის დაცვა, რომელთაგან უმთავრესი იყო **ინტერესის აღძვრა** მონათხრობისადმი.



ანტროპომორფიზმის ხანაში, როცა ადამიანმა თავისი თვისებები მიაწერა ღვთაებებს, ფანტაზია სრულიად შეუზღუდავი გახდა და საფუძველი ჩაეყარა მითოლოგიას, როგორც რელიგიური აზროვნების უფრო მაღალ სტადიას. მაგრამ თამაშის ტრადიცია არ გამქრალა და იგი ბუნებრივად შეერწყა ახალ პირობებს. მითოლოგიურმა სიუჟეტებმა წარმოშვა მყარი ფაბულები კომპოზიციის ყველა კანონის დაცვით. **საწესჩვეულებო რიტუალი და მითოსი შეერთდნენ.** წარმოიშვა თეატრის ის სახეობა, რომელიც, არსებითად, დღემდე არ შეცვლილა.

თამაშის თეორიის მიხედვით, მხატვრული მოღვაწეობა თამაშის მსგავსი მოქმედებაა, თამაშის სახეობაა. ეს თეორია სათავეს იღებს ი. კანტის ესთეტიკური კონცეფციიდან და შემდგომ ვითარდება ჰ. სპენსერის, კ. გროსის, კ. ბიუხერისა და სხვათა შეხედულებებში.

თამაშის თეორიის წარმომადგენლები ერთმანეთს უპირისპირებენ თამაშსა და შრომას, ხელოვნებასა და ხელოსნობას. პირველი თავისთავად სასიამოვნო რამ არის, ხოლო შრომა, აგრეთვე ხელოსნობა, არასასიამოვნოა, მათი შედეგები კი – მიმზიდველი (ი. კანტი).

„ესთეტიკური თამაში“ ადამიანის შემოქმედებითი ძალების შეთანხმებული, თავისუფალი მოქმედებაა და უპირისპირდება უტილიტარულ მოღვაწეობას. ესთეტიკური თამაშის პროდუქტია „წარმოსახვითი ჩვენება“. ფ. შილერის შეხედულებით, იგი იმდენად არის ესთეტიკური, რამდენადაც პრეტენზია არა აქვს რეალურობაზე და არსებობს დამოუკიდებლად. ესთეტიკური მოღვაწეობა თავისუფალია ძალდატანებისაგან. შრომისაგან განსხვავებით, სიამოვნება თვით თამაშის პროცესშია და არა შედეგში (კ. გროსი).

უთუოდ თამაშმა წარმოშვა თეატრის განუყრელი ატრიბუტი – **ნიღაბი** (გვიალათ. Mascus), სახის სპეციალური ზესადები რაიმე გამოსახულებით. თეატრალური ნიღაბი სათავეს იღებს ტოტემური რიტუალიდან, სადაც მას ენიჭებოდა საკრალური მნიშვნელობა. იგი გამოყენებული იყო და არის სინკრეტული თეატრიდან მოყოლებული ჩვენს დღეებამდე. პირველად იგი იყო ადამიანის, ცხოველის, ფრინველის, მითოლოგიური არსების (და ა. შ.) სახეზე ასაფარებელი ან თავზე ჩამოსაცმელი ხატოვანი გამოსახულება.

ანტიკურ თეატრში ნიღაბი მიერთებული იყო პარიკთან, განკუთვნილი იყო თავზე ჩამოსაცმელად და ქმნიდა მუზარადს, რომელსაც თვალებთან და პირთან ჰქონდა ხვრელები. მსახიობის ხმის გასაძლიერებლად ნიღაბი-მუზარადი აღჭურვილი იყო მეტალისგან დამზადებული რეზონატორებით.



რომაულ თეატრში ნიღაბს იყენებდნენ ატელანები (I ს. ძვ. წ.).

შუა საუკუნეებში ნიღაბს თავის წარმოდგენებში იყენებდნენ მოხეტიალე მსახიობები. მე-12-13 საუკუნეებში, როცა ლიტურგიკულმა დრამამ გადაინაცვლა ტაძრის კარიბჭესთან, ნიღაბი გამოყენებული იყო ბუფონადურ ინტერმედიებში (ეშმაკების სცენები, რომელსაც ასრულებდნენ ჰისტრიონები). უფრო მოგვიანებით ეს ხერხი გამოყენებულიქნა მისტერიებში.

ნიღბები ფართოდ იქნა გამოყენებული კომედია დელ' არტეს მიერ, სადაც პერსონაჟთა უმრავლესობა აღჭურვილი იყო მუყაოსა ან ნაჭრისგან დამზადებული ნიღბით. ლირიკული პერსონაჟები („შეყვარებულები“) ატარებდნენ მასკარადისთვის ნიშნეულ ნახევარნიღაბს.

ევროპაში ნიღბები ხმარებიდან ამოღებულიქნა მე-17 საუკუნეში.

ნიღაბი ფართო დანიშნულებით იყო გამოყენებული აზიის ქვეყნებში, სადაც თეატრს კვლავაც საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

ნიღბის განსაკუთრებული სახეობაა ნიღაბ-კოსტიუმები, სადაც ნიღაბი და კოსტიუმი განუყოფელია, და ასევე ნიღბები, რომლებიც ხელში უჭირავთ (ინდონეზიური თეატრი „ვაიანგ-ბარანგონი“) ან თითზე აქვთ წამოცმული (სათითე ნიღბები ესკიმოსებთან).

ნიღაბმა ფართო გამოყენება ჰპოვა მე-20 საუკუნის მოდერნისტულ სპექტაკლებში. იგივე ითქმის პოსტმოდერნისტული თეატრის მიმართაც. და ეს იმიტომ, რომ სწორედ **ნიღაბია თამაშის ჭეშმარიტი სიმბოლო.**

**მერაბ გეგია,**
**ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ზურაბ ჟვანიას ოჯახი სააკაშვილის დაკითხვას მოითხოვს

**ხუთშაბათს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 9 წლის წინათ დაღუპული საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელის ზურაბ ჟვანიასა და ქვემო ქართლის რეგიონის ვიცე-გუბერნატორის რაულ უსუპოვის You Tude -ზე გამოჩენილ ფოტოგრაფიებს „კანკალის აღმძვრელი, შოკის მომგვრელი“ უწოდა. მათი ცხედრები აღმოაჩინეს თბილისში 2005 წლის 3 თებერვალს. ფოტოგრაფიებზე შეიძლება შენიშნო დაზიანებები პრემიერის ტუჩებსა და თავზე, უსუპოვისა — მკერდზე, რის შესახებაც ადრე არ იტყობინებოდნენ.**

**საიტზე მასალებს სათაურად აქვს „სააკაშვილმა მოკლა ზურაბ ჟვანია“.**

პრემიერისა და მისი თანამებრძოლის დაღუპვის გამოძიება ახალი ხელისუფლების პრესტიჟის საქმეა — წინა ხელისუფლებამ იგი ვერ დაასრულა. ჟვანიას გარდაცვალებას აფასებენ, როგორც შემობრუნების მომენტს საქართველოს უახლოეს ისტორიაში. ქვეყანაში დომინირებს აზრი, რომ მხოლოდ პრემიერი აწონასწორებდა თავის დროს მიხეილ სააკაშვილის უსაზომო ამბიციებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთავარი პროკურატურა გვპირდებიან, გამოარკვიონ, თუ როგორ მოხვდა ქსელში მასალები.

დაღუპული პრემიერის ძმამ, დეპუტატმა მმართველი კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გიორგი ჟვანიამ ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ იცოდა ასეთი ფოტომასალების არსებობის შესახებ.

გიორგი ჟვანიამ გვაცნობა, რომ ექსგუმაციის საკითხში შეიძლება ჩაერთონ უცხოელი ექსპერტები, კერძოდ, შვეიცარიიდან და ისრაელიდან, რომლებიც ადგილზე ჩამოვლენ. 20 მარტს პროკურატურაში დაადასტურეს, რომ, ცხადია, საჭირო გახდება ექსგუმაცია და ახალი ექსპერტიზა.

წინა ხელისუფლებაც იზიდავდა გამოძიების საქმეში უცხოელ სპეციალისტებს — გამოძიების ფედერალური ბიუროდან. ამის შემდეგ გამოაცხადეს კიდეც, რომ ჟვანია და უსუპოვი მოიწამლნენ გაზით უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევით დაყენებული მოწყობილობიდან. მაგრამ ამერიკელი სპეციალისტების დასკვნა დღემდე იწვევს ეჭვს: იყო კი ბინაში გაზის კონცენტრაცია ისეთი, რომ ლეტალურ შედეგამდე მივეყვანეთ. სააკაშვილის დროს დაღუპულთა ოჯახები ითხოვდნენ, გამოძიებაში ჩაერთოთ ევროპელი დეტექტივები. მაგრამ ეს მიმართვა უვნებელყვეს.



სასამართლო ექსპერტმა მაია ნიკოლაიშვილმა, რომელიც იცნობს წინა გამოძიების მასალებს, განაცხადა, რომ მასში არაფერია ნათქვამი დაზიანებების შესახებ, რომლებიც ამ ფოტოგრაფიებზე ჩანს. ამას გარდა, მისი სიტყვებით, პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ ჟვანიასა და უსუპოვს შეეძლოთ, ერთდროულად დაეკარგათ გრძნობა გაზის გადინებიდან და გარდაცვლილიყვნენ. გიორგი ჟვანია დაჟინებით მოითხოვს, დაიკითხოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მთლიანად, მისი სიტყვებით, ექსპრეზიდენტმა, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ივანე მერაბიშვილმა, გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა და პარლამენტის ამჟამინდელმა ვიცესპიკერმა საქართველოს ექსხელმძღვანელის პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გიორგი ბარამიძემ მოახდინეს პრემიერის დაღუპვის ვითარების ინსცენირება.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ აღმოჩენილმა კადრებმა უნდა დააჩქაროს გამოძიება.

თებერვალში საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, პროკურატურის წყაროების მითითებით, გვაცნობეს, თითქოს ჟვანია მოკლეს სააკაშვილის რეზიდენციაში შავნაბადაზე საქართველოს ექსხელმძღვანელის თანდასწრებით. ამის შემდეგ ყოფილი პრემიერის ცხედარი ტელევიზორის ყუთით გადაიტანეს კონსპირაციულ ბინაში თბილისში. პროკურატურას თითქოს აქვს აუდიოჩანაწერები, რომელზეც ისმის სააკაშვილის სიტყვები: „მოაშორეთ ეს ცხედარი, როგორც მოვილაპარაკეთ, ასეც გააკეთეთ“. ამ ვერსიით უსუპოვის დაღუპვაც ინსცენირებულია — იგი თითქოს მოკლეს სხვა ადგილას და ასევე მიიტანეს იმ ბინაზე, სადაც მოგვიანებით აღმოაჩინეს ცხედრები.

— ჟვანია იყო ნამდვილი დემოკრატი, რომლის დროსაც სააკაშვილი ვერ გადაიქცეოდა ოდიოზურ ფიგურად, რომელმაც ამდენი საშინელებები ჩაიდინა, — განუცხადა ჩვენს გაზეთს პრემიერის მეგობარმა, ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხში გიორგი ხაინდრავამ. — მას შეეძლო საუბარი ევროპელებთან, რუსებთან, ამერიკელებთან. მის დროს ნამდვილად არ მოხდებოდა 2008 წლის ომი.

მისი სიტყვებით, ჟვანია ხელს უშლიდა ელიტარულ კორუფციას, რომელიც ყვაოდა სააკაშვილის ჯგუფში.

პროფესიონალი რეჟისორი ხაინდრავა ყურადღებას აპყრობს ფოტოგრაფიაზე ისეთ დეტალებს, როგორიცაა სუფთა პერანგები, მაგრამ ჭუჭყიანი შარვლები როგორც ერთი, ისე მეორე დაღუპულისა. მისი აზრით, ისინი ბინაზე შეათრიეს.

— ეს იყო მკვლელობა, — დარწმუნებულია რაულ უსუპოვის მამა იაშარი.

სააკაშვილის პარტიაში მოუწოდებენ ხელისუფლებას, ბოლოს და ბოლოს, გამოაცხადოს საქმის გახსნის შესახებ, თუ ეს შესაძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში შეწყვიტონ საუბრები ამასთან დაკავშირებით.

# „ყირიმის მოვლენები გლობალურ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის“

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთის მოქმედებები უკრაინაში საფრთხეს უქმნის სტაბილურობას არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ფაქტობრივად არღვევს გლობალურ წესრიგს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამყარდა.**

კერძოდ, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, ყირიმთან დაკავშირებულმა მოვლენებმა შეიძლება მოახდინონ 1994 წლის შეთანხმების „სერიოზული დისკრედიტაცია“, რომლის შედეგადაც უკრაინამ უარი განაცხადა თავის ბირთვულ არსენალზე. მარგველაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მას არ ახსენდება არც ერთი შემთხვევა, როდესაც ერთი ქვეყანა იერთებდა სხვა ქვეყნის ტერიტორიას.

„ეს გლობალური მსოფლიო უსაფრთხოების პრობლემაა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მოვუწოდებთ მთელ მსოფლიო გაერთიანებას მშვიდად, მაგრამ, ამავე დროს, პრინციპულად შეაფასოს შექმნილი მდგომარეობა და, ბუნებრივია, ჩვენ გავაგრძელებთ, კვლავ ვიყოთ იმ ცივილიზებული ქვეყნების გვერდით, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საკითხები ქვეყნებს შორის წყდება არა ტერიტორიების დაკავებით და სამხედრო ძალით, არამედ დიპლომატიური გზით“ — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა 19 მარტს პრესკონფერენციაზე.

მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გასული ექვსი წლის განმავლობაში მსოფლიო საზოგადოებას და თავად საქართველოსაც მეტი რამ რომ გაეკეთებინათ, ჯარების შეყვანა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღქმული იქნებოდა „აბსოლუტურად მიუღებელ პრეცედენტად“ და, შესაძლებელია, მოვლენები უკრაინაში ასე არ განვითარებულიყო.

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიულ პრობლემებს, გიორგი მარგველაშვილის სიტყვებით, თბილისი ცდილობს, მოაწესრიგოს ეს პრობლემები „დიპლომატიურად“, რუსეთთან „რაციონალური და მშვიდობიანი დიალოგის“ გზით.

## „უნახავი აგრესია“

**სხვა ქართველმა პოლიტიკოსებმაც მმართველი კოალიციიდან გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი ყირიმში გამართულ მოვლენებთან დაკავშირებით.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ რუსეთის მოქმედებებს უკრაინასთან დაკავშირებით „საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეში დარღვევა“ უწოდა და მოუწოდა საერთაშორისო გაერთიანებას, „კონსოლიდირებული ძალისხმევით აიძულოს რუსეთის ფედერაცია დაუყოვნებლივ განახორციელოს ყირიმსა და უკრაინის სხვა რეგიონებში ვითარების დეესკალაცია, დაიწყოს პირდაპირი მოლაპარაკება უკრაინის ხელისუფლებასთან და ითანამშრომლოს საერთაშორისო თანამეგობრობასთან“.

თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა 19 მარტს პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ ყირიმის „დაპყრობით“ რუსეთმა „განახორციელა XXI საუკუნისთვის სრულიად წარმოუდგენელი აგრესია“.

## „თავის მოტყუების გარეშე“

**მიუხედავად ამისა, ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების პოზიცია არასაკმარისად „მკაფიოა“. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილმა ხელმძღვანელმა გიორგი ბოკერიამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, „შეწყვიტოს“ თავის მოტყუება.**

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ასევე მიაჩნიათ, რომ საქართველოს პარლამენტმა კიდევ ერთხელ უნდა მიიღოს რეზოლუცია უკრაინასთან დაკავშირებით.

რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრების შესახებ განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმაც, საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის ტელეარხების ეთერში. როდესაც ტელეარხ „ფოქს ნიუსის“ ტელეეკრანზე გამოდიოდა, სააკაშვილმა თქვა, რომ „პუტინს მართლაც სურს, გაანადგუროს ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ჩნდება, როგორც ახალი დემოკრატია“, ვინაიდან, ექსპრეზიდენტის სიტყვებით, „მას (პუტინს) უბრალოდ არ სურს, იყოს დემოკრატიულ სახელმწიფოთა გარემოცვაში“.

## „ძირითადი სხვაობა“

**პოლიტოლოგი კახა გოგოლაშვილი საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდიდან არ ეთანხმება ოპოზიციის ბრალდებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობა აკეთებს ძალიან ფრთხილ განცხადებებს ამჟამინდელ კრიზისთან დაკავშირებით.**

უფრო მეტიც, ექსპერტის აზრის თანახმად, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა გამონათქვამები „საკამაოდ მკაცრია“. ამავე დროს პოლიტოლოგი მიუთითებს იმაზე, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების დეკლარირებული მიზანი იყო რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება, რომელიც ნულოვან წერტილამდე დავიდა წინა ხელისუფლების დროს. ამავე დროს გოგოლაშვილს „პრაგმატულად“ მიაჩნია ის, რომ საქართველოს ხელისუფლება გამოხატავს დასავლელი პარტნიორების პოზიციის მხარდაჭერას უკრაინასთან დაკავშირებით.

გოგოლაშვილს ეჭვი ეპარება იმაშიც,რომ დასავლეთის სანქციები აღმოჩნდება არასაკმარისი, რათა „შეაჩერონ პუტინი“, ვინაიდან, მისი სიტყვებით, კრემლში „კარგად გაიანგარიშეს“ დასავლეთის შესაძლო რეაქცია.

კახა გოგოლაშვილმა აღნიშნა, რომ ყირიმთან დაკავშირებული ისტორიის შედეგები შეიძლება მძიმე აღმოჩნდეს საქარველოსთვის იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში არის ორი გამოყოფილი რეგიონი, სადაც რუსეთის ჯარებია. ექსპერტის სიტყვებით, ყირიმის ანექსიით რუსეთმა მთელ მსოფლიოს შესთავაზა ახალი შეხედულება მსოფლიო წესრიგზე.

გოგოლაშვილს მიაჩნია, რომ „ღირს დაფიქრება“ იმაზე, რომ რუსეთის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა დადებითად ეკიდება პუტინის ამ შეხედულებებს.

**„მოსახლეობის მხარდაჭერა ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული კორუფცია, ადამიანის უფლებების დარღვევა გავლენას არ ახდენს ადამიანების უმრავლესობის განწყობაზე რუსეთში“,** — ამბობს პოლიტოლოგი და აღნიშნავს, რომ ეს არის სხვაობა საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის საზოგადოებებს შორის.

**„საქართველოს და უკრაინის ურთიერთობანი ყოველთვის მაღალ დონეზე იქნება, ვინაიდან ჩვენს ქვეყნებს ერთნაირი მიზნები აქვთ. საქართველოს საზოგადოება და უკრაინელი ხალხის ძირითადი ნაწილი ცდილობენ, ააგონ დემოკრატიული და თანამედროვე სახელმწიფო, რაც, სამწუხაროდ, რუსეთში არ არის“,** — დაასკვნა ექსპერტმა.

## დედამიწის ზურგზე



**აშშ-მა გააუქმა სპარსეთის ყურის ქვეყნების სამიტი მოკავშირეთა შორის კონფლიქტის გამო**

**სამიტში მონაწილეობა უნდა მიეღოთ იმ ქვეყნების ლიდერებს, რომლებიც შედიან სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოში — საუდის არაბეთისა, ომანისა, ყატარისა, ბახრეინისა, კუვეიტისა და არაბთა გაერთიანებული საამიროებისა.**

* * *

**ქაბულში სასტუმროს, სადაც ოთხი უცხოელი დაიღუპა, თავს არასრულწლოვანი ბოევიკები დაესხნენ, რომლებსაც პისტოლეტები წინდებში ჰქონდათ**

**მთლიანად თავდასხმის მსხვერპლი ცრა კაცი გახდა. პასუხისმგებლობა მომხდარზე მოძრაობა „თალიბანმა“ იკისრა. ოთხი ბოევიკიდან პოლიციამ სამის ლიკვიდაცია მოახდინა, ერთი კი დაიჭირეს.**



* * *

**აშშ-ს, რომელმაც შემოიღო სანქცია „პუტინის მახლობელთა წრის“ წინააღმდეგ, განზრახული აქვს, მიიღოს კიდევ უფრო „დამანგრეველი ეკონომიკური მოქმედებები“**

**თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, იგი არ შეჩერდება ამ სანქციებზე და მზადაა წავიდეს წინ. წინაა — შეზღუდვების შემოღება რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საფინანსო მომსახურების, ენერგეტიკის, მეტალურგიის, სამთო საქმის, მანქანათმშენებლობის, თავდაცვისა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში.**

* * *

**რუსეთმა სირიის შემდეგ დაიკავა მეორე ადგილი იმ ლტოლვილთა რიცხვში, ვინც სხვადასხვა ქვეყანაში ეძებს თავშესაფარს**

**რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა 2013 წელს შეიტანეს 39,8 ათასი განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე 44 განვითარებულ სახელმწიფოში — ერთი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 76 პროცენტით გაიზარდა. რუსეთელებისთვის ყველაზე პოპულარული ქვეყნები გახდნენ გერმანია და პოლონეთი. ამავე პერიოდში სირიელებმა, ვისაც სურდათ, დაფუძნებულიყვნენ ევროკავშირის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, შეიტანეს 612,7 ათასი შესაბამისი განაცხადი.**



◉ წიწაკის ოყნა

# ქელეხში მოქეიფეთა საყურადღებოდ!

**ერთ სოლიდურ ჟურნალში ერთი ხან-დაზმული, ჯამბაზურად აცეკვებულ რითმებზე გადაგიჟებული, აწყვეტილი პოეტის, უკაცრავად პასუხია, ლექსი წავიკითხე. „ნაწყვეტი ქელეხიდან“ — ასეა დასათაურებული და ელოდები — სამგლოვიარო სუფრა იქნება აღწერილი, ჭირისუფალთა მწუხარე სახეები. თქვენც არ მომიკვდეთ. არაფერი ამდაგვარი. თაროებს ვალაგებდი და კვლავ წავაწყდი იმ გაუგონარ, დაუჯერებელ მკრეხელობას. პატარაა და ბარემ აქვე ამოვიწერ:**

**მწვადი, კიტრი, პამიდვრები**
**თავის ოხრახუშიანად!**
**ვიგრიალეთ, ოხ, რა მაგრად!**
**ჩავსკდით, ოხ, რა ხოშიანად!**
**არასოდეს ჯერ ქელეხში**
**ამდენი არ გვიცინია:**
**საცოდავი ამირანა!**
**იცნობდი, ხომ? კვიცინია!**

**გამაოგნა ამის წაკითხვამ. ქელეხის სუფრაზე ვის გამოაქვს მწვადი? ჯერ ვიფიქრე, ალბათ, მწვადი და ხაშლამა ერთმანეთში აერია-მეთქი, მაგრამ ამ ორ კინკილა სტროფში იმდენი რამეა არეულ-დარეული, ხელად მიხვდები, სტრიქონების გარჩევასა და მსჯელობას არავითარი აზრი არ ჰქონდა, ისეთი „ობოლი მარგალიტი“ შემრჩა ხელთ. ცხადი იყო — ყველაფერი ვითომდა ჟღერადი, ეფექტური (ფაქტობრივად, დეფექტური) რითმების ავადმყოფურმა გამოდევნებამ მოიტანა.**

**თვით ავტორის საქციელი რაღას გავს — კაცი, ნაცნობი, უკანასკნელ გზაზე გააცილე, მიწა მიაყარე, მერე ოჯახში დაბრუნდი, ხორაგით გაძეძგილ სუფრას მიუჯექი და „ოხ, რა ხოშიანად“ გამოძეხი, „ჩასკდი“, „იგრიალე“... ამდენი ჩაბჟირებამდე მისული სიცილიც სად გაგონილა შესანდობართა შესმის დროს, მაგრამ ქელეხების ტრუბადურს ეს ნაკლებად ედარდება (ერთბაშად სირცხვილის ოფლი არ მოიწმინდოს) — მთავარია, ენის წვერზე მომდგარი ცარიელა სიტყვები ერთმანეთს რიხით, რახარუხით მიურითმოს და კმაყოფილმა ჭაღარა ულვაშებში ჩაიღიმოს, ეს რა მაგარი ვინმე ვარო. სასვენი ნიშნები ცალკე გვიმხელს, როგორ სანაქებო გუნებაზე დამდგარა ნაქელეხარი. ზეაწეული განწყობილება რომ გამოხატოს (ნეტავი რამ აახუნტრუცა, ნუთუ ასე გაახარა კაცის სიკვდილმა?) — ექვსი ძახითი ნიშანია დაკოსებული უბადრუკ სტრიქონთა ბოლოს. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ შილა ფლავის დაგემოვნებისა და სუფრის აშლის შემდეგ, დამწუხრებული ოჯახის წევრთა „სანუგეშებლად“, იგი საკართანოსაც დალევდა. ამ აღმაშფოთებელი კრეტინობის გადაკითხვის მერე ერთხელ კიდევ ცხადი გახდა — ზოგ-ზოგთა უტიფრობასა და ზნედაცემულობას საზღვარი არ გააჩნია.**

**ისე კი, დარწმუნებული ვარ — ყოველივე ეს, მწვად-ოხრახუშით დაწყებული და გვარ-სახელით დამთავრებული, პირწმინდად მოროტვილია. შუბლისძარღვგაწყვეტილი, იგი მთელი ცხოვრების მანძილზე უნამუსოდ ცრუობს; ამ ამაზრზენი მონაჩმახის ავტორის ერთი სიტყვაც არ არის დასაჯერებელი, თუმცა, ასეთი სიცრუეებით, ძალაუნებურად, საკუთარ უტყუარ პორტრეტს ხატავს. მისი ათასი უმსგავსობიდან, სახელდახელოდ, ერთს გავიხსენებ — სახელი რომ გაგიტეხოს, თვალის დაუხამხამებლად, ისეთ რამეს მოგიგონებს და დაგწამებს, სიზმრადაც რომ არ გინახავს.**

**დაბოლოს, მე რომც არ დავსვა, თავისთავად იბადება კითხვა: შეიძლება კი, ზემოთ მოტანილი დომხალის დამწერი პოეტი იყოს? ამაზე მხოლოდ ერთადერთი პასუხი თუ იქნება: ასეთი რამის მკადრებელი არამცთუ პოეტი, საერთოდ, კაციც არაა.**

**საქართველოში ყველაფერი ხდება. არ გაგიკვირდეთ — ერთ მშვენიერ დღეს ეს ტვინგამოცლილი, წმინდა წყლის გაუგებრობა ქართული პოეზიის ალამდარად, „გენიოსადაც“ კი გამოაცხადონ.**

**მდგომარეობა საგანგაშოა, ყველანი ვხედავთ — ერთი წყება საეჭვო ყოფაქცევის კალმოსნებისგან ჩვეულებრივ ამბად იქცა ყოველივე ძვირფასისა და წმინდის გამასხარავება, შებღალვა, რაც კარგს არაფერს მოგვიტანს.**

**ემზარ კვიტაიშვილი**

◉ მემკვიდრეობა


საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო

# სამებიდან საყდრისისკენ „დავითიანნი“ დროშებით მიემართება

**თბილისიდან საყდრისისკენ დღეს, 22 მარტს ორი ჯგუფი გაემგზავრება — 09:30 წუთზე თბილისიდან საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს დასაცავად სამების საკათედრო ტაძრის ცენტრალურ შესასვლელთან ახალგაზრდული ორგანიზაცია “დავითიანნის“ წევრები, დროშებითა და პლაკატებით გაემგზავრებიან, სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად. რესპუბლიკის მოედნიდან ზუსტად ამავე დროს — 09:30 წუთზე გავლენ ხელოვნებათმცოდნეები, მეცნიერები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის “მწვანე მუშტი“, “ძეგლის მეგობარი“.**

საყდრისის ოქროს მაღაროსთან ახლოს პროტესტის როგორ ფორმას მიმართავენ ახალგაზრდული ორგანიზაციები და რა განცხადებებს გააკეთებენ, ეს ადგილზე ჩასვლის შემდეგ გახდება ცნობილი. ამ ეტაპზე დაზუსტებით იმის თქმა შეიძლება, რომ საყდრისის ოქროს მაღაროს გადასარჩენად დაყენებული მოთხოვნები დაახლოებით ერთი და იგივეა — საერთაშორისო კომისიის შექმნა, რომელიც მოამზადებს დასკვნას, რის შემდეგაც წერტილი დაესმება საყდრისის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და ერთხელ და სამუდამოდ დაზუსტდება, ეს არის უძველესი ოქროს მაღარო, სადაც ოქროს მოიპოვებდნენ სამთო წესით (მაშინ, როცა მსოფლიოში არავინ იყენებდა ოქროს მოპოვების ამგვარ წესს), თუ საყდრისის მაღაროს არა აქვს არანაირი ისტორიული ღირებულება.

საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს გადარჩენის მიზნით თბილისიდან არაერთხელ იყვნენ ჩასულები სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციები, არქეოლოგები, მეცნიერები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, მაგრამ აქამდე საყდრისის გულშემატკივრები პროტესტს ცალ-ცალკე გამოხატავდნენ; დღევანდელი აქცია არის ერთობლივი პროტესტის პირველი მცდელობა. საყდრისის სიახლოვეს დაგეგმილ აქციას, სავარაუდოდ, შეუერთდება ადგილობრივი მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც მიიჩნევს, რომ საერთაშორისო კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე საყდრისის მაღაროს დანგრევა, ან აფეთქება დაუშვებელია.

## ქართველი და გერმანელი მეცნიერების ერთობლივი რეზოლუცია

**2 მარტს ქართველმა და გერმანელმა მეცნიერებმა საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს გადასარჩენად ერთობლივი რეზოლუცია მიიღეს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართულ-გერმანული ექსპედიციის წევრების გარდა, რეზოლუციას ხელს აწერენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. რეზოლუციაზე ხელმომწერებს შორისაა ცნობილი ქართველი არქეოლოგი ვახტანგ ლიჩელი, რომელიც აქამდე საყდრისის გადარჩენის საწინააღმდეგო პოზიციას ტელედებატებში აფიქსირებდა. რეზოლუციაზე ხელმომწერი მეცნიერები საყდრისის უძველეს ოქროს მაღაროს მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ მემკვიდრეობად აფასებენ და მისი დანგრევა დაუშვებლად მიაჩნიათ.**

ამონარიდი 2 მარტის რეზოლუციიდან: **„უდავოა და არავის გაუხდია სადაოდ, რომ საყდრისის მაღაროს სახით საქმე გვაქვს ადრეული მემაღაროეობის კერასთან. მისი მნიშვნელობა ჯერ სრულად გარკვეული არ არის. უკვე მარტო ამიტომ არის აუცილებელი ადგილზე კვლევის გაგრძელება. გარდა ამისა, განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ საერთაშორისო ცნობადობის პუბლიკაციებში მეცნიერები, რომლებიც გათხრებს აწარმოებენ, იცავენ თეზისს, რომ საქმე მსოფლიოს უძველეს ოქროს მაღაროს ეხება. რეცენზიებსა და განცხადებებში ამ თეზისის საწინააღმდეგო თვალსაზრისია გამოთქმული, თუმცა, ყოვლისმომცველი მეცნიერული კონტრარგუმენტაცია არ გვაქვს. ამგვარად, გათხრების მწარმოებელთა პუბლიკაციები მეცნიერების ამჟამინდელი მდგომარეობის რეპრეზენტაციოდ გვევლინება საერთაშორისო სივრცეში. სანამ ასეთი ვითარებაა, მაღარო მისაწვდომი უნდა იყოს შემდგომი კვლევისათვის და მისი დანგრევა დაუშვებელია“.**

ამ რეზოლუციას ხელს ოცდაათი მეცნიერი აწერს. მათ შორის არიან: დოქტორი **ბაბლინა ბებლერი,** მაინცის მეცნიერებათა და ლიტერატურის აკადემიის მეცნიერ-თანამშრომელი; დოქტორი **ფელიქს ბიტმანი,** სანაპიროთა ისტორიული კვლევების ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ქვემო საქსონია, ვილჰელმსჰაფენი; დოქტორი **შტეფან ფოიზერი,** როსტოკის უნივერსიტეტის ჰაინრიხ შლიმანის სახელობის ინსტიტუტის კლასიკური არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი; პროფესორი, დოქტორი **ლევან გორდეზიანი,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; პროფესორი, დოქტორი **რისმაგ გორდეზიანი,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; დოქტორი **მათიას ჰააკე,** ვესტფალიის უნივერსიტეტი, მიუნსტერი; პროფესორი, დოქტორი **სვენდ ჰანზენი,** გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების დირექტორი, ბერლინი; პროფესორი, დოქტორი **ალექსანდრე კარტოზია,** ოდერის ფრანკფურტის უნივერსიტეტი; პროფესორი, დოქტორი **ნანა ხაზარაძე,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი; პროფესორი დოქტორი **ანეტე ოტე,** გისენის უნივერსიტეტსა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის კოორდინატორი, გისენის უნივერსიტეტი; პროფესორი, დოქტორი **ტასილო შმიტი,** გერმანიის უნივერსიტეტების ჰუმანიტარული ფაკულტეტების საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწვეული ექსპერტი უმაღლესი განათლების დარგში, ბრემენის უნივერსიტეტი; პროფესორი, დოქტორი **ირინე ტატიშვილი,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

## პრემიერ-მინისტრის მოსაზრება და კულტურის სამინისტროს ოფიციალური პოზიცია

13 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** თსუ-ში სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე, საყდრისთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე ასეთი პასუხი გასცა: **„...ის, რომ ოქროს მაღარო იყო, ეს არ არის დადასტურებული, ეს არის ვარაუდი...“**

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია 13 მარტს ერთთვიან შვებულებაში გავიდა, რის მიზეზადაც გადაღლილობა დაასახელა.

14 მარტს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა **ალექსანდრე მარგიშვილმა** და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ახლახან დანიშნულმა ხელმძღვანელმა **ნიკოლოზ ანთიძემ** სპეციალური ბრიფინგი გამართეს. **მათ ბრძანეს, რომ საყდრისის მაღაროს შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, მისი უძველესობის შესახებ, არის მითი. ბატონმა მარგიშვილმა სამინისტროში მყოფ ჟურნალისტებს გვაცნობა, რომ ოქროს მომპოვებელ კომპანია „არემჯი გოლდს“ უკვე გადაუგზავნეს ნებართვა, რითაც კერძო კომპანიას საშუალება ეძლევა სამუშაოები დაიწყოს.**

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე ასეთი შინაარსის განცხადება გამოქვეყნდა:

**„დღეს, 14 მარტს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე მარგიშვილმა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ ჟურნალისტებს გააცნეს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე არსებული პრობლემის გადაწყვეტის შესახებ.**

**არსებული მრავალრიცხოვანი დოკუმენტისა და საექსპერტო შეფასებების ანალიზზე დაყრდნობით სააგენტომ მოამზადა დასკვნა, რომლის მიხედვითაც საყდრისი-ყაჩაღიანში არ დადასტურდა უძველესი ოქროს მაღაროს ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა. სახელმწიფოს შეუძლებლად მიაჩნია, მითზე დაფუძნებით ხელი შეუშალოს ათასობით ადამიანის დასაქმებას და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.**

**სამინისტროს გადაწყვეტილებით მოწვეული იქნებიან საერთაშორისო რეპუტაციის მქონე დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მონიტორინგს გაუწევენ კომპანია „RMG Gold“-ის მიერ წარმოებულ სამუშაოებს. მაღაროს მიდამოებში რაიმე აღმოჩენის შემთხვევაში სააგენტო ჩაატარებს შესაბამის კვლევებს და კომპეტენტური კომისიის დასკვნის შემდეგ საჭიროების მიხედვით არტეფაქტები განთავსდება ან არსებულ მუზეუმში, ან ამ დანიშნულებით სპეციალურად შექმნილ ახალ დაწესებულებაში“.**

დასკვნა, რომლის საფუძველზეც კომპანია „არემჯი გოლდს“ სამუშაოების დაწყების ნებართვა მისცეს, ჯერ არ გამოქვეყნებულა. 19 მარტს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს წერილობით მივმართე და ეს დოკუმენტი გამოვითხოვე. საყდრისის ირგვლივ მომდევნო წერილში შემოგთავაზებთ, როგორც ამ დასკვნის შინაარსს, ისე, საყდრისის ირგვლივ განვითარებული მოვლენების აღწერას.

**ნინო მიქიაშვილი,**
**სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“.**



„მწვანე მუშტი“ — საყდრისის ვეტერანი დამცველი



„დავითიანნი“ საყდრისის დამცველთა შორისაა

## რევოლუციური რეფორმები

# მიხეილ გაბრიჩიძე: ფიბა-ს საგანგებო კონგრესზე მსოფლიო საკალათბურთო სამყარო ერთსულოვანი იყო

**თურქეთმა ამ დღეებში ფიბა-ს საგანგებო კონგრესს უმასპინძლა, რომელმაც ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო. გაუქმდა რეგიონული საკალათბურთო ორგანიზაციების (ფიბა-ევროპა, ფიბა-აზია და ა. შ.) დამოუკიდებლობა და ისინი ფიბა-ს მმართველობის ვერტიკალში მოექცნენ, ევროპის ჩემპიონატების გამართვის ციკლი კი 2-დან 4 წლამდე გაიზარდა.**

**ფიბა-ს საგანგებო გენერალურ კონგრესში მონაწილეობა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემაც მიიღო, რომელიც მიღებულ გადაწყვეტილებებზე უფრო დეტალურად გვესაუბრება.**




— ეს ფიბა-ს ისტორიაში მეორე საგანგებო კონგრესი გახლდათ. პირველი 1989 წელს გაიმართა და მაშინ 1992 წლის ოლიმპიადაზე ამერიკელი პროფესიონალი კალათბურთელების დაშვების საკითხი განიხილეს. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის აგვისტოში, მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას, ესპანეთში დაგეგმილია ფიბა-ს კონგრესი, მსოფლიო კალათბურთის მმართველმა ორგანიზაციამ საჭიროდ მიიჩნია, საგანგებო კონგრესი მოეწვია, რომელსაც 16 მარტს თურქეთმა უმასპინძლა და რომელმაც რამდენიმე ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო.

კონგრესის უპირველესი მიზანი ფიბა-ს წესებით გასამართი ტურნირების კალენდრის მოწესრიგება იყო, ხოლო შეკრების ძირითადი ლაიტმოტივი — „ერთი ორგანიზაცია, ყველას ხმა“. ანუ მომავალში საერთაშორისო ასპარეზზე რა საკალათბურთო ტურნირებიც ჩატარდება, უნდა იყოს ფიბა-ს მიერ ლიცენზირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ორგანიზაცია მკაცრ სანქციებს გაატარებს.

ფიბა-მ გააძლიერა მმართველობის ვერტიკალი ისეთი ორგანიზაციების მიმართ, როგორებიც არიან ფიბა-ევროპა, ფიბა-აფრიკა და სხვა დანარჩენი კონტინენტური საკალათბურთო გაერთიანებები. დამოუკიდებლობა ფორმალურად შეუნარჩუნდათ, თუმცა მათი აღმასრულებელი ხელისუფლება ფიბა-მსოფლიოს მმართველობის ვერტიკალში მოექცა. მათ ხელმძღვანელებს ფიბა-ს საბჭო ყოველ 4 წელიწადში აირჩევს. ფიბა-ს მთავარ საბჭოში შევა ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის 1 წარმომადგენელი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ფიბა-ს კალენდრის მოწესრიგებაში ნბა-ს მიმართულებით.

ფიბა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს კალათბურთის კომერციალიზაციისკენ, რაც მეტი სპონსორის მოძიებაში, ტელეტრანსლაციების გაყიდვების მოწესრიგებაში და მედიასთან აქტიურ ურთიერთობაში გამოიხატება. ძირითადი შემოსავალი უნდა მოდიოდეს კომერციული ტურნირებიდან და ეს თანხა ნაციონალურ ფედერაციებზე უნდა გადანაწილდეს. კალათბურთში მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქტიური მარკეტინგული საქმიანობა უნდა წარიმართოს.

რაც შეეხება კიდევ ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, ეს კონტინენტური, კონკრეტულად კი ევროპის ჩემპიონატების გამართვის 4-წლიანი ციკლია. 2017 წლის ევრობასკეტის შემდეგ აღნიშნული შეჯიბრება 4 წელიწადში ერთხელ გაიმართება და მის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობას კონტინენტის ყველა ქვეყნის ნაკრები ერთიანად მიიღებს. აღარ იარსებებენ „ა“ და „“ბ“ დივიზიონები. ასევე ცალკე ჩატარდება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. აქამდე მსოფლიოზე ის გუნდები ხვდებოდნენ, რომლებიც კონტინენტურ ჩემპიონატში თავს გამოიჩენდნენ. 2017 წლიდან ასე აღარ იქნება და ყველა დამოუკიდებლად მოიპოვებს კონტინენტური თუ მსოფლიო ჩემპიონატების საგზურებს. ჯერ არაა დადგენილი, თუ როგორ მოხდება ოლიმპიადაზე მოხვედრა, თუმცა ამ საკითხს ფიბა უახლოეს პერიოდში მოაწესრიგებს.



რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შესარჩევი ტურნირების მატჩები ზაფხულთან ერთად შუა სეზონში, სავარაუდოდ ზამთარშიც ჩატარდება. ფიბა-მ იზრუნა იმაზე, რომ აღნიშნულ პერიოდში არ მოხდეს ეროვნული ნაკრების წევრთა დაკავება ნბა-სა თუ ევროლიგაში და აღნიშნულ სტრუქტურებთან აქტიური მოლაპარაკების შედეგად წინასწარ შეთანხმებას მიაღწია. ანუ არ იარსებებს იმის საშიშროება, რომ, ვთქვათ, ზამთარში, როცა ეროვნული ნაკრებები შესარჩევი ტურნირის მატჩებს ითამაშებენ, კალათბურთელების კლუბებში დაკავება მოხდეს. ყველაფერი ერთიან კალენდარზე აეწყობა. ასევე მოგვარდება სხვა საჭირბოროტო საკითხებიც.

**— რამდენად მისაღებია ეს ფორმატი საქართველოსთვის და, ზოგადად, ევროპული ქვეყნებისთვის?**

— ქართველ მაყურებელს ეძლევა შანსი, მსოფლიოს ისეთი გრანდები იხილოს თბილისში, როგორებიც არიან ესპანეთი, საფრანგეთი, ლიტვა და ასე შემდეგ. მარკეტინგულად ეს ძალიან მომგებიანია და თუ არ იქნება ნბა-დან და ევროლიგის გუნდებიდან მოთამაშეების ჩამოსვლის პრობლემა, რა თქმა უნდა, უკეთესია, ზაფხულის პერიოდს ზამთარიც დაემატოს. ფიბა ამ ნაბიჯს არ გადადგამდა, წამგებიანი რომ იყოს. როგორც ცნობილია, ამ საკითხთან დაკავშირებით ნბა-სთან და ულებ-თან წინასწარი შეთანხმება მიღწეულია.

**— ზემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილებების მიღებას თქვენც დაუჭირეთ მხარი?**

— რა თქმა უნდა. მსოფლიო საკალათბურთო სამყარო ერთსულოვანი იყო. საგანგებო კონგრესში 198 ქვეყანა მონაწილეობდა და აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებას ყველამ მხარი დაუჭირა — მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი.

**— შესაძლოა, უკრაინაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო ევროპის ჩემპიონატი ამ ქვეყანაში აღარ გაიმართოს. ამ მხრივ თუ იმსჯელეს საგანგებო კონგრესზე?**

— ოფიციალურ დონეზე ეს საკითხი არ განხილულა. მე შევხვდი უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ალექსანდრე ვოლკოვს და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის სახელით მწუხარება გამოვთქვი იმ პროცესებზე, რაც მის ქვეყანაში ვითარდება. მან თქვა, რომ უკრაინაში დარბაზების მშენებლობა დიდი შეფერხებით მიმდინარეობს და შექმნილი პოლიტიკური ვითარება ყველანაირად ხელს უშლის ევრობასკეტის ჩატარებას.

უკრაინელები ძალიან შეშფოთებულები არიან და კონტინენტის პირველობის მათ ქვეყანაში ჩატარებას რეალური საფრთხე ემუქრება. გადაწყვეტილება ჯერ არაა მიღებული. ყველა მოვლენების განვითარებას ელოდება, რის შემდეგაც საბოლოოდ გადაწყდება, უმასპინძლებს თუ არა უკრაინა ევროპირველობას.

სხვათა შორის, მიმდინარე თვეში უკრაინაში უნდა გამგზავრებულიყო საქართველოს 1999 წელს დაბადებულთა ნაკრები, რომელიც შექმნილი ვითარების გამო თბილისში დარჩა. გასარკვევია ასევე 18-წლამდელთა ევროპის პირველობის გამართვის საკითხიც, რომელიც დონეცკშია დაგეგმილი. ამაზე პასუხს ფიბა-ევროპა 23 მარტს იტყვის.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ფეხბურთი

# ევროპის ლიგა: პირლოს „ოქროს ფეხი“, კვარეჟმას სოლო, ანდალუსიური ნერვები

**ზედიზედ მეორე მატჩია, „იუვენტუსი“ ანდრეა პირლოს საჯარიმო დარტყმით იგებს. ასე მოხდა სერია ა-ში „ჯენოასთან“ და ამჯერად ევროპის ლიგაზე „ფიორენტინამ“ იგემა სიმწარე. 71-ე წუთი იყო, „ბებერ ქალბატონს“ გოლი ჰაერივით სჭირდებოდა და პირლომ ცოცხალ კედელს ბრწყინვალედ შემოატარა ბურთი. მისი გოლი მომგებიანი აღმოჩნდა. „იუვემ“ შინ ნათამაშევი 1:1-ის შემდეგ მაინც გაიკვლია გზა მეოთხედფინალისკენ. არ დაგვავიწყდეს, რომ ევროპის ლიგის ფინალი ტურინში გაიმართება. დარ**ბავშვივით მოატყუა, წინ შეიგდო ბურთი და ცხრიანში აუღებელი დაარტყა. საბოლოოდ 2:2 და „პორტუ“ მეოთხედფინალშია.

„ბაზელი“ შარშანდელ გმირულ ამბებს წლეულსაც აგრძელებს. შინ ნათამაშევი 0:0-ის შემდეგ გასვლაზე 2:1 აჯობა ავსტრიულ „ზალცბურგს“. შედეგში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რომ არა მატჩის მსვლელობა: მე-9 წუთზე „ბაზელი“ კაცნაკლული დარჩა, ტაიმის შუაწელს გოლი გაუშვა და კიდევ ოთხჯერ სასწაულებრივად გადარჩა, მეორე ნახევარში კი 10 კაცით ორი უპასუხო გოლი გაუტანა მასპინძლებს. შეხსენებისთვის, „ბაზელი“ შარშან ევროპის ლიგის ნახევარფინალამდე მივიდა.



**ჩენილ რვავე მონაწილეს თუ გადავხედავთ, თქმა არ უნდა — ანტონიო კონტეს გუნდი №1 ფავორიტია.**

„ბენფიკამ“ ბეწვის ხიდზე გაიარა — „ტოტენჰემთან“ სტუმრად 3:1 მოგების შემდეგ საშინაო მატჩშიც დაწინაურდა არგენტინელი ეზეკიელ გარაის გოლით, თუმცა ინტრიგა „გააცოცხლა“ ბელგიელმა ნასერ ჩადლიმ, რომელმაც წუთნახევრიან მონაკვეთში ორი გოლი გაიტანა. 79-ე წუთზე 1:2 იყო და ლონდონელებს ერთი გოლიღა აკლდათ დამატებით დრომდე. ლენონსა და კეინს შეეძლოთ კიდეც გატანა, თუმცა ვერ მოახერხეს და ბოლოს ლისაბონელებმა გაათანაბრეს — ლიმამ პენალტი გამოიყენა. შარშანდელი ფინალისტი ტიტულისთვის ბრძოლას აგრძელებს.

„ნაპოლიმ“ „პორტუსთან“ იმდენი საგოლე მომენტი შექმნა, ერთ მატჩს კი არა, მთელ ტურნირს ეყოფოდა, მაგრამ რად გინდა — მხოლოდ ორი გამოიყენა. განსაკუთრებით სცოდავდა გონსალო იგუაინი და „პორტუმაც“ მეორე ტაიმში თავისი გააკეთა: ამ თამაშის მშვენება იყო პორტუგელი რიკარდო კვარეჟმას გოლი, რომელმაც საჯარიმოს მისადგომებთან ორი კაცი

და ბოლოს, ანდალუსიური დერბი. „სევილიამ“ თანაქალაქელ „ბეტისთან“ შინ წაგებული 0:2 გასვლაზე ხოსე ანტონიო რეიესისა და კარლოს ბაკას გოლებით ამოქაჩა, დამატებით დროში გადაიყვანა საქმე, სადაც გოლი არ გასულა და პენალტების სერია დაიწყო. პირველი პენალტი „სევილიამ“ გააცუდა და თითქმის გამოუვალ სიტუაციაში იყო, თუმცა მაინც გაუმართლა — უფრო სწორედ, ბეტისელებმა ნდაიემ და ნონომ აჩუქეს გამარჯვება: ძალიან უხეიროდ დაარტყეს.

ანჟი-ალკმაარი 0:0 (პირველი მატჩი 0:1), ბენფიკა — ტოტენჰემი 2:2 (პირველი მატჩი 3:1), ფიორენტინა — იუვენტუსი 0:1 (პირველი მატჩი 1:1), პლზენი — ლიონი 2:1 (პირველი მატჩი 1:4), ვალენსია — ლუდოგორეცი 1:0 (პირველი მატჩი 3:0), ბეტისი — სევილია 0:2 (პენალტებით 3:4) (პირველი მატჩი 2:0), ნაპოლი — პორტუ 2:2 (პირველი მატჩი 0:1), ზალცბურგი — ბაზელი 1:2 (პირველი მატჩი 0:0).

**გიორგი შოთაძე**

## ექსტრემი



ფრიდონ ფიფია (მარცხნივ), ჰენრი კუპრაშვილი

# ფინეთში ზამთრის ცურვის მსოფლიო ჩემპიონატზე ლატვიაში მცხოვრები ქართველიც იასპარეზებს

**წლეულს საქართველო პირველად მონაწილეობს ზამთრის ცურვის მსოფლიო ჩემპიონატში — 20 მარტს ფინეთის ქალაქ როვანიემში გახსნილ მე-9 ფორუმში საქართველოს წარმოადგენს გამოჩენილი მოცურავე ჰენრი კუპრაშვილი, რომლის სახელიც კარგადაა ცნობილი მთელ მსოფლიოში. 67 წლის ჰენრი დღეს იასპარეზებს ასაკობრივ ჯგუფში 65-69 წლამდე და გაცურავს კროლით 25 და 50 მ დისტანციებზე. ის ინტენსიურად ემზადებოდა ასპარეზობისთვის.**

როვანიემში, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობს კიდევ ერთი ქართველი — ეს 56 წლის ფრიდონ ფიფიაა. ის ლატვიაში ცხოვრობს და ბოლო წლებში წარმატებით გამოდის სხვადასხვა ტურნირებში. რამდენიმე თვის წინათ ჰენრი კუპრაშვილსა და ფრიდონ ფიფიას შორის მიმოწერა გაჩაღდა, მაგრამ მათი უშუალო ნაცნობობა როვანიემში შედგა. ეს ორი თანამემამულის მღელვარე შეხვედრა იყო გახსნის ცერემონიაზე. ბატონმა ფრიდონმა განაცხადა, რომ ის ჩემპიონატში იასპარეზებს ასაკობრივ ჯგუფში 55-59 წლამდე 25 და 50 მ დისტანციებზე — კროლით და ბრასით.

ფრიდონ ფიფია წარმოშობით ზუგდიდიდანაა. სკოლის დამთავრების შემდეგ ლენინგრადში (ახლა სანკტ-პეტერბურგი) გააგრძელა სწავლა. პროფესიით მეხანძრეა. 1983 წლიდან ლატვიაში ცხოვრობს, წლების განმავლობაში მეხანძრედ მუშაობდა, ხოლო ცურვა იყო და რჩება მის გატაცებად. ბოლო წლებში ფრიდონმა წარმატებებს მიაღწია ლატვიაში ძველი ქართული სტილით „კოლხურით“ ცურვის პროპაგანდის საქმეში, იმ ცურვის, რომლის ამღორძინებელი 1990-იან წლებში ჰენრი კუპრაშვილი გახდა.

„ცნობებმა ბატონი ჰენრის მიღწევების შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და მეც დავეუფლე „კოლხური“ სტილით ცურვას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიცნობდით ერთმანეთს, ბატონი ჰენრი დაუსწრებლად გახდა ჩემი მწვრთნელი და მასწავლებელი“, — ამბობს ფრიდონ ფიფია.

როვანიემში ის ლატვიის სპორტულ ღირსებას იცავს კლუბ „Georgian seal“ სახელით. მომდევნო ზამთრის ცურვის მსოფლიო ჩემპიონატზე ფიფია აპირებს საქართველოს სახელით გამოსვლას, ხოლო ამისთვის საჭიროა შესაბამისი პროცედურების გავლა.

**მანუჩარ გიორგაძე**

## ალიან-ჩალიანი

### პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია იწყება

**განათლებისა** და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, რეგისტრაცია დაიწყო და 11 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება.

როგორც ბრიფინგზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა განაცხადა, ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა სახელმწიფო დაფინანსებით დაეუფლოს მისთვის სასურველ პროფესიას – ტურიზმის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მომსახურებისა და სხვა მიმართულებებით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ 24 საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომლებიც პროფესიულ პროგრამებს ახორციელებენ.



საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა განსაზღვრულია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით.

სასწავლებლები აღჭურვილია განახლებული ინფრასტრუქტურითა და თანამდეროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, დაკომპლექტებულია კვალიფიციური და გადამზადებული პედაგოგებით, რაც წამყვან ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის ათვისების საფუძველზე, ყველა მსურველს მისცემს საშუალებას, გახდეს კონკრეტული დარგის პროფესიონალი და დასაქმდეს.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით არსებულ თბილისის, ქუთაისისა და ქობულეთის საინფორმაციო ცენტრებში, სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში.

### ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადების ფაქტზე სამი პირი დააკავეს

**დაკავებული** არიან მოქალაქეები – კახაბერ გასვიანი, აკაკი ენუქიძე და ალექსანდრე შეყილაძე.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ კახაბერ გასვიანმა, აკაკი ენუქიძემ და ალექსანდრე შეყილაძემ დაამზადეს და გაასაღეს ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურა თანდართული სასაქონლო ზედნადებებით, რომლის თანახმად, თითქოს მათ მოქალაქეს 180 000 ლარის ღირებულების ფქვილი და შაქარი მიაწოდეს, ამის სანაცვლოდ 52 000 ლარი აიღეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა„ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

ინტერპრესი

## იურიდიული კონსულტაცია

### რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

**კითხვა: ვმუშაობ ერთ-ერთ დაწესებულებაში მთავარ ბუღალტრად, როგორც გავიგეთ, ცვლილებები შევიდა დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საკითხებში.**

**გთხოვთ, გაგვარკვიოთ, ვის უნდა მიმართოს ორსულმა დახმარების მისაღებად და რა ევალება დაწესებულებას ამ საკითხის დროულად გადასაწყვეტად?**

**ნანა ძიძიგური**

**პასუხი:** დახმარებისა და კომპენსაციის გაცემის წესში ბოლო ცვლილებები შევიდა 2014 წლის 1 იანვრიდან. რაც შეეხება თქვენთვის საინტერესო საკითხს: დასაქმებული (მოსამსახურე) დახმარების, კომპენსაციის მისაღებად საავადმყოფო ფურცელს ასლთან ერთად წარუდგენს დამსაქმებელს (დაწესებულებას) და ითხოვს ანაზღაურებად შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, რის საფუძველზეც დამსაქმებელი (დაწესებულება) ავსებს საავადმყოფო ფურცლის შესაბამის ნაწილს, რომელსაც დაფინანსების განაცხადთან და დასაქმებულის (მოსამსახურის) პირადობის მოწმობის ასლთან ერთად წარუდგენს დამსაქმებლის (დაწესებულების) იურიდიული მისამართის ადგილსამყოფელის მიხედვით სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის სამსახურს.

* * *

**კითხვა: როცა მუშაობა დავიწყე დამსაქმებელს შრომის შინაგანაწესი არ გაუცვნია. ამჟამად კი ისეთ შეზღუდვებს მიწესებს, რაც შრომის ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული და მეუბნება, ეს შინაგანაწესით გვქონდა გათვალისწინებული და შენთვის მისი შესრულება სავალდებულოაო. აქვს ამის უფლება?**

**კახაბერ ხერგიანი**

**პასუხი:** კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, პირს შრომის ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი, ხოლო შემდგომში მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება. თუ თქვენი სამუშაოზე მიღების დროს ზემოაღნიშნული პირობები არ ყოფილა დაცული, ამჟამად დამსაქმებლის მოქმედება კანონსაწინააღმდეგოა.

* * *

**კითხვა: თუ შეიძლება განმიმარტეთ, მოქმედი შრომის კოდექსი როგორი წესით ითვალისწინებს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების გაცემას?**

**აბესალომ კოტრიკაძე**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შრომის ანაზღაურება უნდა გაიცეს თვეში ერთხელ 2013 წლის 4 ივლისიდან ცვლილებების შეტანის შემდეგ, შრომის კოდექსში აღარ არის მითითებული ხელფასი სამუშაო ადგილზე გაიცეს, თუ ბანკის მეშვეობით. ისე, რომ ეს საკითხი დაწესებულების ხელმძღვანელის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

595 05 11 77; 593 35 99 09.

სვეტლანა, შალვა მგალობლიშვილები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან ოჯახის უახლოესი მეგობრის

**გუჯა მამაგეიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.



ვალერი ჭანტურია, მიმოზა შენგელია შვილებთან თამარ და რუსუდანთან ერთად იუწყებიან ოჯახის უახლოესი მეგობრის, ქართველ საზოგადოებაში ღირსებითა და კაცურ კაცობით გამორჩეული პიროვნების

**გუჯა მამაგეიშვილის**

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს ქალბატონ ინეზა ქელბაქიანს და შვილებს გიგა, თეონა მამაგეიშვილებს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

# ეს სახიფათო „კრიმანჭული“

## ხვრინვის მეორე მხარე

**რამდენი** ოჯახი მოწამლა ხვრინვამ, რამდენი წყვილი, ზოგიერთისთვის იგი სერიოზული პრობლემების წყაროდ იქცა. მედიკოსები დიდი ხანია განგაშს ტეხენ: ერთი შეხედვით უმტკივნეულო ღამის „კრიმანჭული“ – ისეთი მრისხანე დაავადებების ერთ-ერთი პროვოკატორია, როგორებიცაა ინფარქტი და ინსულტი.

იმის შესახებ, თუ რითაა სახიფათო ხვრინვა და რა მოვუხერხოთ მას, მკითხველების შეკითხვებზე გვიპასუხებს ექიმი-თერაპევტი თამარ ყორღანაშვილი.

### ფარული საფრთხე

**გამიგონია, რომ ხვრინვა – არა მხოლოდ დაბრკოლებაა პირად ცხოვრებაში, არამედ ჯანმრთელობისთვის სერიოზული საფრთხეც. საინტერესოა, რატომ?**

**თამილა, გორი.**

– დიახ, ეს ასეა. ძლიერ მხვრინავს სერიოზული საფრთხე ემუქრება: მოულოდნელი, სუნთქვის პერიოდულად განმეორებადი შეჩერება (ანუ აპნოე), რომელიც შეიძლება გაგრძელდეს 10 წამიდან 3 წუთამდე და განმეორდეს 5-ჯერ და მეტჯერაც ერთ საათში, იკავებს პერიოდს ძილის 60 პროცენტამდე. ორგანიზმი ამ ცვლილებებს აღიქვამს, როგორც სიცოცხლისთვის სახიფათოს და ისვრის „სტრესის ჰორმონებს“. ამავე დროს სასუნთქი კუნთები აწარმოებენ კრუნჩხვითს მცდელობებს, რომ ისუნთქონ. ორგანიზმში სტრესულ ცვლილებებს ადამიანი გამოჰყავს ღრმა ძილის მდგომარეობიდან, ზედაპირულ ძილს არ მივყავართ სრულფასოვან დასვენებამდე. ჰიპოქსიის (ჟანგბადის ნაკლებობა, შიმშილი)მრავალჯერადი პერიოდები კი აზიანებს ორგანიზმის უჯრედებს, უწინარეს ყოვლისა – გულისა და ტვინისა.

### საჰაერო განგაში

**რა ნიშნებით შეიძლება გავიგოთ, რომ მაქვს ღამის აპნოეს სინდრომი?**

**გიორგი, ოზურგეთი**

– თავად ადამიანმა, ვისაც ღამის აპნოეს სინდრომი აწუხებს, შეიძლება ეს ვერ შენიშნოს. ეს მან უნდა გაიგოს მხოლოდ მათგან, ვინც მის გვერდითაა. ღამის აპნოეს ნიშნებად მიჩნეულია:

- **პერიოდული სულის ხუთვები ძილის დროს;**
- **ძლიერი ხვრინვა;**
- **ხშირი გაღვიძებები განგაშით, რაც სიზმრებთან არაა დაკავშირებული;**
- **გაზრდილი არტერიული წნევა დილაობით;**
- **თავის ტკივილები დილით;**
- **ძილისგან კმაყოფილების უქონლობა ფორმალურად მისი საკმაო ხანგრძლივობის მიუხედავად;**
- **მეხსიერებისა და ყურადღების დაქვეითება;**
- **გაღიზიანება დილაობით.**



### უტიფრობის გარეშე

**ჩემმა ცოლმა ამ ბოლო ხანებში შეშფოთებით დაიწყო იმის შემჩნევა, რომ ღამით, როდესაც ვხვრინავ, სუნთქვა მიჩერდება. მითხარით, რა მოვუხერხო ამას?**

**გია, ტყიბული**

– თუ ზედმეტი წონა გაქვთ, ეცადეთ, არ დაიკლოთ. იძინეთ გვერდულად – ხშირად ეს გვეხმარება თავიდან ავიცილოთ ენის ძირისა და რბილი სასის ჩავარდნა, რომლებიც კეტავენ სასუნთქ გზებს. ერიდეთ ალკოჰოლის მნიშვნელოვანი დოზის მიღებას, რაც ძილის დროს ადუნებს ცხვირისა და ყელის მუსკულატურას. ამავე მიზეზით ღამის აპნოეს სინდრომის დროს კატეგორიულად საწინააღმდეგოდ მაჩვენებელია ნებისმიერი საძილე წამალი (განსაკუთრებით ბარბიტურატები, ბენზოდიაზეპინური ტრანსკვილიზატორები). თუ ეწევით, ეცადეთ მნიშვნელოვნად შეამციროთ მოსაწევი სიგარეტის ოდენობა. მწეველებს შორის ღამის აპნოეს სინდრომი გვხვდება დაახლოებით სამჯერ უფრო ხშირად, ვიდრე მათ შორის, ვინც არ ეწევა.

ღამის აპნოეს სინდრომის ზომიერი გამოვლინების დროს მდგომარეობის შემსუბუქება შეიძლება მოგვცეს სპეციალურმა მუნდშტუკმა – იგი ძილის დროს აყენებს ენასა და ქვედა სასას ისეთ მდგომარეობაში, რომელიც წინააღმდეგობას უწევს სასუნთქი გზების გადაკეტვას. ჩვეულებრივად ასეთ მუნდშტუკს ექიმი-სტომატოლოგი ამზადებს.

თუ ზემოაღნიშნული მეთოდები არ გვეხმარება, უნდა გამოვიყენოთ აპარატი, რომელიც სასუნთქ გზებში ქმნის მუდმივ დადებით წნევას. ეს მეთოდი ითვალისწინებს ღამის სპეციალური ნიღბის წამოცმას, რომლის გავლითაც ხელსაწყო იძლევა ჟანგბადით გამდიდრებულ ჰაერს წნევის ქვეშ, რის შედეგადაც სასუნთქი გზები არ ეცემა.

დაბოლოს, არსებობს აპნოეს მკურნალობის ქირურგიული მეთოდები: გაზრდილი სასის ნუშისებრი ჯირკვლების და რბილი სასის ამოკვეთა, პლასტიკური ოპერაცია ქვედა ყბაზე, რომელიც მისი ფორმის შეცვლას ისახავს მიზნად, ცხვირის ერთ-ერთი ნიჟარის ამოღება, ცხვირის ძგიდის დეფექტების თავიდან აცილება.

### სხვათა შორის

**ღამის აპნოეს სინდრომი ყველაზე ხშირად გვხვდება მამაკაცებში (4 პროცენტი) და საშუალო ასაკის ქალებში (2 პროცენტი). ამ სიმპტომს ყველაზე ხშირად ემორჩილებიან ქალები მენოპაუზის დროს.**

### დავიმახსოვროთ

მათთვის, ვისაც ღამის აპნოეს სინდრომი აწუხებს, სასარგებლოა:

- **დავამთქნაროთ ღია და დახურული პირით, პირის ფართოდ გაღებით, ხმაურით ჩავისუნთქოთ ჰაერი;**
- **თავისუფლად დავახველოთ ან კარგად ამოვახველოთ ღია პირით, გამოყოფილი ენით;**
- **მოვახდინოთ ყელში გამოვლების იმიტირება უკან გადაწეული თავით. გამოვივლოთ ყელში მძიმე სითხე (კისელი, კეფირი, მაწონი);**
- **ვყლაპოთ წყალი პატარა ულუფებით (20-30 ყლუპი);**
- **გავბეროთ ლოყები ცხვირში ხელმოჭერით;**
- **გავბეროთ რეზინის სათამაშოები, საჰაერო ბურთები, საპნის ბუშტები.**

**სულიერება**

# ჯვრის თაყვანისცემა



**23 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდმარხვის მესამე კვირიაკეს ხვდება პატიოსანი ჯვრის საკურთხევლიდან მლოცველთა წინაშე გამობრძანებით, მისი თაყვანისცემით.**

...ამ დიდ დღესასწაულზე მლოცველნი თაყვანს სცემენ მინდვრის ყვავილებით ლამაზად შეკრულ ჯვარს, ეამბორებიან მას, მუხლს იყრიან მის წინაშე: „...ჯვარსა შენსა თაყვანის ვცემთ მეუფეო, და წმინდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ".

ასეთი წესით წმინდა ეკლესია შეგვაგონებს, რომ ჩვენ ხილულად ვხედავთ პატიოსან ჯვარს, როგორც მოთმინების, მღვიძარების, მხნეობისა და კეთილ საქმეთა კეთების ნიშანს, მარხვით დაუღლელობის სიმბოლოს...

მაცხოვარმა ხომ ჯვრით სძლია ცოდვას, სიკვდილს და ჯოჯოხეთს!

* * *

**დღეს ორმოცი სებასტიელი მოწამის ხსენების დღეა**

...დაახლოებით 320 წელს ქალაქ სებასტიაში რომაელთა ჯარი იდგა. ჯარში 40 ქრისტიანი მეომარი იმყოფებოდა, რომელიც წარმოშობით კაბადოკიიდან იყო (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). მხედართმთავარი აგრიკოლა მათ კერპთათვის მსხვერპლის შეწირვას აიძულებდა, მაგრამ მხედრებმა უარი თქვეს.

მაშინ ჯარისკაცები დააპატიმრეს და ქალაქ სებასტიის მახლობელ ტბისკენ შეკრულნი წაიყვანეს. ზამთარი იდგა... ღამდებოდა. მხედრები გააშიშვლეს და გაყინულ წყალში შეყარეს.

40 სებასტიელი თავიანთი ღვაწლით (გმირობით) ქრისტეს მოწამენი გახდნენ.

**გიული ლიპარტია**

**ინფორმაცია**

# დღეგრძელობა ციფრებსა და ფაქტებში

**განვლილი წლების 30 პროცენტი დამოკიდებულია გენეტიკაზე, 70 პროცენტი კი — ჩვენეული ცხოვრების წესზე.**

**ხანდაზმულებად ითვლებიან 90 წლისა და მეტი ასაკის ადამიანები.**

**იცოცხლონ 100 წლამდე — ამის 70 პროცენტით მეტი შანსი აქვთ ქალებს მამაკაცებთან შედარებით.**

დიდხანს ცოცხლობენ ის მამაკაცები, რომლებიც დიდი ხანია ცხოვრობენ მეუღლეებთან ერთად.



ორივე სქესის მუდმივად მომუშავე მოქალაქეები თავიანთ „მოდუნებულ" თანატოლებთან შედარებით უფრო დიდხანს ცოცხლობენ.

**122 წელი და 164 დღე იცოცხლა ფრანგმა ქალბატონმა, რომლის სახელიცაა ჟანა კალმანი, იგი ითვლება დედამიწის ყველაზე ხანდაზმულ მცხოვრებლად, მათ შორის ვისი დაბადების დღეც ზუსტადაა ცნობილი.**

ხუთი წლით გვიხანგრძლივებს სიცოცხლეს სიყვარული, დაიანგარიშეს ამერიკელმა გერონტოლოგებმა. სწორედ ამდენს გვთავაზობენ ისინი მივუმატოთ იმათ სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობას, ვინც ქორწინებაშია და ვისაც თავისი მეორე ნახევარი უყვარს.

**10-12 წლით ახალგაზრდები აღმოჩნდნენ ბიოლოგიური ასაკით თავიანთ თანატოლებთან ისინი, ვინც მედიტაცია მოახდინა ხუთ წელზე მეტი ხნით. მედიტაცია აყოვნებს სიბერის პროცესს.**

**10-20 პროცენტით ახანგრძლივებს ჩვენს სიცოცხლეს საკვების კალორიულობის შემცირება ერთი მესამედით.**

ნუტრიცენტიკების: ვიტამინების, რკინის, კალციუმის... პროფილაქტიკური მიღება საშუალებას გვაძლევს, დიდხანს შევინარჩუნოთ ჩვენი სხეული ახალგაზრდულად და ჯანსაღად.

**7,1 წლით უფრო დიდხანს ცოცხლობენ მამაკაცები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები, ვიდრე მათი თანატოლები, ვინც მხოლოდ საშუალო განათლება მიიღო.**

ქვეყნიერებაზე მხოლოდ ერთი სასიხარულო შეხედვა გააგრძელებს ჩვენს ცხოვრებას ცხრა წლით.

**ის ადამიანები, რომლებიც ბავშვობიდანვე თავისუფლად საუბრობენ ორ ენაზე, ბერდებიან უფრო ნელა.**

ხუთი წლით უფრო დიდხანს ცოცხლობენ ის ადამიანები, ვინც ხშირად კოცნაობს.

**10 ათასი ნაბიჯი დღეში — აი, ხანგრძლივი ახალგაზრდობის მარტივი საიდუმლოება.**

წყვილები, რომლებიც აწარმოებენ სექსს სულ ცოტა სამჯერ კვირაში, 30 წლის შემდეგ ნებისმიერ პირობებში გამოიყურებიან 2-3 წლით უფრო ახალგაზრდულად, ვიდრე მათი თანატოლები, რომლებიც თავს იკავებენ ამ საქმისგან.

**ცინცხალი ანეკდოტები**

**ქალი ავტობუსში ზის და ხედავს, რომ მის მოპირდაპირედ მჯდომ მამაკაცს შარვალი შეხსნია.**

**— ახალგაზრდავ, მაღაზია ღია დაგრჩენიათ... — მორიდებით ეუბნება.**

**დარცხვენილი მამაკაცი ელვა შესაკრავს შეიკრავს და ქალს ეკითხება:**

**— დირექტორმა მაინც თუ გამოიხედა იმ მაღაზიიდან?**

**— დირექტორს არ გამოუხედავს, მთვრალ მტვირთავ მუშას კი ტომრებზე ეძინა...**

* * *

**— მამი, ვინ არიან ალკოჰოლისტები?**

**— ვინ და... აი, ხომ ხედავ 4 ხეს? ალკოჰოლისტებს ისინი რვად ეჩვენება. გაიგე?**

**— გავიგე მამი. მაგრამ აქ რომ 4 ხეა?**



* * *

**ორმა ებრაელმა გემის შეღებვა გადაწყვიტა. მივიდნენ ოდესის სანაპიროში ხელშეკრულების გასაფორმებლად. მათ ავანსი მისცეს და წავიდნენ. ერთი კვირის შემდეგ მოვიდა სანაოსნოს ხელმძღვანელობა ნამუშევრის შესამოწმებლად. გემი ისე კარგად არის შეღებილი, წუნს ვერ დასდებ, თეთრად ქათქათებს. მისცეს ებრაელებს დანარჩენი ფულიც და ისინი წავიდნენ. გემიც ნელ-ნელა მოშორდა ნაპირს, მეორე მხრით შემოტრიალდა და რას ხედავენ! იგი სულ ჟანგიანია, შავი, თეთრი ლაქაც არ ეტყობა. დაიჭირეს ეს ორი ებრაელი.**

**— რას ჰგავს ეს? სანახევროდ შეგისრულებიათ სამუშაო!..**

**— რას ამბობთ, ჩვენ ყველაფერი ხელშეკრულების თანახმად გავაკეთეთ!**

**— აბა, გვიჩვენეთ ხელშეკრულება!**

**— აი, ბატონო, აქ წერია: „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერებმა, რაბინოვიჩმა და სიმონიჩმა, ერთი მხრივ, და ოდესის სანაპიროს ხელმძღვანელობამ, მეორე მხრივ"...**

**ჩვენი პრესდაიჯესტი**

## ჟურნალ-გაზეთებიდან



### „რუსეთი აფხაზეთს და სამაჩაბლოს ვერ მიიერთებს"

— დარწმუნებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს" ლიდერი ვალერი გელბახიანი, — უკრაინის მოვლენების გამეორება ჩვენთან მოსალოდნელი არ არის. მიერთებით ვერც ცხინვალის რეგიონს მიიერთებენ და ვერც აფხაზეთს. ამას რუსეთი ვერ გააკეთებს, იმიტომ, რომ ამის ისტორიული ახსნაც არ გააჩნია. სანამ იარსებებს რუსეთის სახელმწიფო, მანამდე მოუწევს თავის მართლება არაღიარების პოლიტიკის დარღვევის გამო. მუდმივად თავდაცვის პოზაში ყოფნა რუსეთს არ აწყობს. არც საქართველოს დაპყრობის სურვილი ამოძრავებს. მოვლენები შეიძლება გაართულოს საქართველოს სვლამ ნატოსკენ. ჩვენ გამაღიზიანებელი ნაბიჯები არ უნდა გადავდგათ.

**„ახალი თაობა"**

### „ქვეყანაში „ნაცბანდის" ამოსაძირკვად სერიოზული ბრძოლა იწყება"

— ამბობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მრჩეველი, პიარტექნოლოგი ლალი მოროშკინა, — ახლა ნამდვილად არის გადამწყვეტი ეტაპი, იმიტომ, რომ ვხედავთ გააქტიურებულ პროკურატურას. დაგროვდა მასალები, დაგროვდა მოწმეთა ჩვენებები, ძალიან ბევრი ფაქტორია საიმისოდ, რომ დაიწყოს „ნაციონალური მოძრაობის" სერიოზული დასჯა. გარდა ამისა, ერთ-ერთ ფრანგულ გამოცემაში იყო სააკაშვილის ინტერვიუ, სადაც ის წერდა, რომ აუცილებლად დაბრუნდება უნიათო ხელისუფლების ამოსაძირკვად საქართველოში, ანუ მესიჯი უკვე გამოგზავნილია, რომ საქართველოში აირიოს სიტუაცია, სააკაშვილი კი ფანტასტიკური ამრევი რომ არის, ყველამ ვიცით.

**„ალია"**

### ზუგდიდელი ბიზნესმენის თემურ ყორშიას ოჯახი როლანდ ახალაიას მკვლელობაში ამხელს

— ახალაია არამხოლოდ ატერორებდა ხალხს, არამედ ხოცავდა კიდეც და მისი მსხვერპლი მამაჩემი თემურ ყორშიაც გახლდათ, ამბობს ლაშა ყორშია, — ოფიციალური ვერსიით თითქოს მან თავი მოიკლა, მაგრამ როლანდ ახალაიამ არ იცის, რომ მამაჩემმა ჩანაწერები გააკეთა, რომლებიც მეც მაქვს და პროკურატურაშიც დევს. ერთადერთი კაცი, რომელსაც მამაჩემის სიკვდილი აწყობდა, სწორედ როლანდია და ამას აუცილებლად დავამტკიცებ.

**„ვერსია"**

**რეკლამა**
299-62-77;
599 32-85-76.
„საქართველოს რესპუბლიკაში"

**კადრი**



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ბოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24